ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი — კვირა, 28 — 29 იანვარი, 2017

№23 (7258)

ფასი: 50 თეთრი

## საქართველოს პრეზიდენტმა კაბელების საქმეზე მსჯავრდებულები შეიწყალა

გვ.4



27 იანვრიდან

დონალდ ტრამპი

იფიქრე ჩემპიონივით

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




# „ნაციონალების გაერთიანება გამორიცხული არ არის“




გვ.2

გია ხუხაშვილი: „ყოფილი ხელისუფლება „ქართულ ოცნებას“ მუდმივ პოლიტიკურ ჩოქბჯენში ამყოფებს“

## ნდობის ჯგუფში მოსახვედრად 3 ქალი იბრძოლებს





გვ.2

„2 თვის მანძილზე მიდიოდა ჩემი შესწავლის პროცესი. ამ შესწავლის მიზანია დაადგინოს, ვინ რომელ სპეცსამსახურთან თანამშრომლობს, უთანამშრომლია და ა.შ. ახლა სუს-ს ვთავაზობთ, სწორედ დეტექტორის საშუალებით დააგვირგვინოს შემოწმების პროცესი და გამოჩნდება, ვინ ვინ არის ნდობის ჯგუფში"



## კონსტანტინე გამსახურდია: „თუ ოპოზიცია ერთიანი იქნება, არსებულ საარჩევნო სისტემას შეცვლის“

გვ.4



## „ქალაქის გაძლიერება ივანიშვილს არ აწყობს“



გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნების“ ლანძღვა ახლა უფრო ადვილია“

## ამერიკელი ანალიტიკოსები: „სამხრეთ კავკასიაში კრიზისის ახალი კერების გაჩენაა მოსალოდნელი“

გვ.3

აშშ გაეროს სტრუქტურებს თანხებს აღარ გამოუყოფს



ბუშს საქართველოში სამხედრო ბაზების მოწყობა უნდოდა

## ბანკები უნდა იყვნენ ბიზნესის პარტნიორები და არა — კონკურენტები

გვ.6



ISSN 1987-9385

## პროკრედიტ ჰოლდინგი: არაპროფილური აქტივები ბანკს არ აქვს

გვ.6



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ნაციონალების გაერთიანება გამორიცხული არ არის“

## გია ხუხაშვილი: „ყოფილი ხელისუფლება „ქართულ ოცნებას“ მუდმივ პოლიტიკურ ჩოქბჯენში ამყოფებს“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ ვერ სთავაზობს ხელისუფლება ოპოზიციას პოლიტიკურ დღის წესრიგს, და პრობლემებს უქმნის „ოცნებას" დაშლილი ნაციონალური მოძრაობა, ვინ დაიწერა ქულები გია ცერცვაძის საქმეზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**



***– გია ცერცვაძის საქმესთან დაკავშირებით ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ძალიან აქტიურობდნენ. ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, მათ ძალიან კარგი სპექტაკლი დადგეს. თქვენ რას ფიქრობთ?***

– როდესაც ორი ჭეშმარიტება ეჯახება ერთმანეთს, ასეთ დროს რეალობა დისკუსიის მიღმა რჩება. ცერცვაძის შემთხვევაშიც ასე მოხდა. ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ეს იყო ნაციონალების მიერ დადგმული სპექტაკლი. ამასთან ვერც იმ პრეტენზიებს დავეთანხმები, რომელსაც ხელისუფლებას ნაციონალები უყენებენ.

არც ერთი თეორია არ არის სწორი. ეს იყო ერთი კონკრეტული ადამიანის პრობლემა. ხელისუფლება, ბუნებრივია, ვალდებულია, რომ თავისი მოქალაქის პრობლემა მოაგვაროს. ჩემი აზრით, ხელისუფლება მეტ-ნაკლებად ცდილობდა რაღაცის გაკეთებას. სხვა საკითხია, რომ წინა პროცედურებში რაღაც შეცდომები იქნა დაშვებული.

***– ბევრი სწორედ ამ შეცდომების გამო საყვედურობს ხელისუფლებას.***

– ეს მათი უფლებაა, მაგრამ ხელისუფლებას პოლიტიკური შეცდომა არ დაუშვია. საქმე გვაქვს მხოლოდ პროცედურულ შეცდომებთან, რაც პოლიტიკური დისკუსიის საგანი არ უნდა გახდეს.

ძალიან სამწუხაროა, რომ ცერცვაძის საქმე პოლიტიკური დისკუსიის საგანი გახდა. პოლიტიკური დისკუსიის დროს, როგორც წესი, კონკრეტული ადამიანი ყველას ავიწყდება. არავის უფიქრია იმაზე, რომ ამ პოლიტიკური სპეკულაციებით საბოლოოდ ზარალდება ესა თუ ის პიროვნება.

***– თქვენ თქვით, რომ ხელისუფლება მეტ-ნაკლებად ცდილობდა ამ პრობლემის მოგვარებას. ბევრი ფიქრობს, რომ ნაციონალებმა ამ საქმეშიც აჯობეს პიარით ხელისუფლებას. ამაზე რას იტყვით?***

– ამ საკითხზე ხელისუფლების მიმართ გამოთქმული პრეტენზიები გადაჭარბებული იყო. რაც შეეხება პოლიტიკურ ტექნოლოგიებს – ჭიქაში ატეხილ ქარიშხალს, აქ ნაციონალები თავის სტიქიაში აღმოჩნდნენ და ხელისუფლება კიდევ ერთხელ ჩააყენეს თავის მართლების პოზიციაში.

ყოფილ ხელისუფლებას ეს ძალიან კარგად გამოსდის და „ქართული ოცნების“ გადაუჭრელ პრობლემად იქცა ის, რომ პოლიტიკური დღის წესრიგს ნაციონალები ან „ევროპული საქართველო“ ქმნიან.

როცა ყველაფერი მათი დღის წესრიგით მიდის, ასეთ დროს „ქართული ოცნება“ ან თავის მართლების რეჟიმში გადადის, ან არაადეკვატურად აგრესიული ხდება.

***– თავის მართლება უფრო წამგებიანია თუ აგრესიულობა?***

– ორივე შემთხვევაში პოლიტტექნოლოგიურად ყოფილი ხელისუფლება რჩება მოგებული. ეს მარტივი მიზეზის გამო ხდება – ხელისუფლება ვერ ახერხებს თავისი დღის წესრიგის შეთავაზებას. პოლიტიკური შიმშილის ფონზე დაცარიელებულ ველს ნაციონალები ძალიან კარგად ავსებენ და „ოცნება“ მუდმივად პოლიტიკურ ჩოქბჯენში ჰყავთ.

***– ხელისუფლებას არ შეუძლია რაიმე მოიმოქმედოს იმისთვის, რომ მუდმივად ამ მდგომარეობაში არ იყოს?***

– მთელი პრობლემა მათი უუნარობაა, მათ არ შესწევთ იმის უნარი, რომ ოპონენტებს სწორად უპასუხონ, მეორე უბედურება ისაა, რომ თავად ვერ ქმნიან დღის წესრიგს.

ყველას კარგად მოეხსენება, რა არის დღეს მთავარი პრობლემა ქვეყანაში. ესაა უმუშევრობა და სოციალური სფერო. ამ ველზე ხელისუფლება ვერაფერს აკეთებს და როგორც უკვე გითხარით, ან უაზრო აგრესიაზე გადადიან, ანდა იწყებენ თავის მართლებას.

***– ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა გამოაჩინა, რომ ნაციონალები და მათგან გამოყოფილი „ევროპული საქართველო“ ერთ პოზიციაზე იყვნენ. თქვენი აზრით, არის იმის ალბათობა, რომ ისინი ისევ ერთ გუნდად ჩამოყალიბდნენ?***

– ამ ეტაპზე მათ შერიგებას არ ველოდები, თუმცა პოლიტიკა ისეთი რამეა, რომ არაფერი არ უნდა გამოირიცხო. არც ის დაგვავიწყდეს, თუ რა აკავშირებთ მათ ერთმანეთთან. ნაციონალების ორივე ფლანგი ახლა ერთმანეთს მწვავედ აკრიტიკებს, მაგრამ მათ ისეთი წარსული აქვთ, რომელიც ერთმანეთთან საბოლოოდ დაშორების საშუალებას არ მისცემს.

ცნობილია, რომ ადამიანებს ერთმანეთთან ისე არაფერი არ აკავშირებს, როგორც ერთად ჩადენილი დანაშაული. ეს სიყვარულზე უფრო მეტი შემადუღაბებელი ფაქტორია. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს კი ერთად ბევრი რამ აქვს ჩადენილი. აქედან გამომდინარე, მათი შერიგება გამორიცხული არ არის, მაგრამ ახლო მომავალში ამას არ ველოდები.

***– რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მათი გაერთიანება?***

– ერთად ყოფნის შემთხვევაში ხელისუფლების დამარცხების შანსი თუ გაუჩნდებათ, მათ შორის კოორდინაციას არ გამოვრიცხავ. ამ ხალხს დიდი და სერიოზული წარსული აქვთ ერთად გამოვლილი.

„ქართული ოცნების“ დასამარცხებლად მათ შესაძლოა გაერთიანება არც კი დასჭირდეთ. ყველა ხედავს, რომ ისინი ცალ-ცალკეც კი ახერხებენ უუნარო ხელისუფლებისთვის დიდი ზიანის მიყენებას.

***– არადა ამბობენ, რომ ნაციონალები ხელისუფლებამ დაშალა და ამით „ოცნების“ ბევრი მხარდამჭერი აღფრთოვანებულია.***

– ამ აღფრთოვანებას ვერ გავიზიარებ და არ მესმის, რატომ ითვლება ნაციონალების დაშლა გენიალურ სპეცოპერაციად. მე ეჭვი მეპარება, რომ ეს ხელისუფლების ჩარევით მოხდა. ხოლო თუ მართლა მათი ხელი ურევია ამაში, გამოდის, რომ არასწორად მოიქცნენ. მეტიც, ვიტყვი, რომ ისინი პოლიტიკის აზრზე არ არიან.

ნაციონალების ორნაწილად დაშლით, მათი პრობლემები გაორმაგდა. ერთ მონოლითურ პარტიასთან ბრძოლა ბევრად უფრო იოლი იყო, თანაც ეს ბრენდი სერიოზულად იყო დაზიანებული. ახლა კი ორ ფრონტზე მოუწევთ ბრძოლა. აქამდე თუ ერთი პარტია უწესებდა დღის წესრიგს, ახლა ორი დაუწესებს.

# ნდობის ჯგუფში მოსახვედრად 3 ქალი იბრძოლებს

შორენა მარსაგიშვილი

**პარლამენტის ნდობის ჯგუფის გარშემო შესაძლოა ახალი სკანდალი აგორდეს. ამ ჯგუფში მეხუთე წევრის ადგილის დასაკავებლად 3 ქალი – სალომე ზურაბიშვილი, სალომე სამადაშვილი და ირმა ინაშვილი იბრძოლებენ.**







თავიდან ამ ადგილის დასაკავებლად პრეტენზიები მხოლოდ ირმა ინაშვილს ჰქონდა. ნაციონალების დაშლის შემდეგ ამ ჯგუფში თავისი ადგილი მოითხოვეს ნაციონალება. პრეტენზიები დამოუკიდებელ დეპუტატ სალომე ზურაბიშვილსაც გაუჩნდა.

პარლამენტის ნდობის ჯგუფში, რომელიც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სპეციალური პროგრამებისა და საიდუმლო საქმიანობის საბიუჯეტო კონტროლისთვის იმუშავებს, შესაძლებელია ჯგუფის მე-5 წევრის ერთი ადგილი დაიკავოს როგორც ფრაქციებიდან წარდგენილმა კანდიდატებმა, ასევე დამოუკიდებელმა დეპუტატმა.

აქედან გამომდინარე, სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნული პოსტის დასაკავებლად წარადგინა საკუთარი კანდიდატურა და ხმასაც თავის სასარგებლოდ მისცემს

საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ კი მიიჩნევს, რომ ამ ჯგუფში სალომე სამადაშვილი უნდა იყოს წარმოდგენილი.

ფრაქციის თავმჯდომარე როման გოცირიძე მედიასთან საუბარში აცხადებს, რომ ისინი ყველა საპარლამენტო სტრუქტურაში აპირებენ აქტიურ მონაწილეობას.

ნაციონალებსაც და პატრიოტებსაც ამ კვოტის დასაკავებლად სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერა ესაჭიროებათ – ორივე კანდიდატურას საკუთარი ფრაქციებიდან 6-6 წევრის მხარდაჭერა აქვს და ხმები თანაბრად იყოფა. ამიტომაც არის ზურაბიშვილის ხმა გადამწყვეტი. რომელიც ხმას საკუთარ თავს აძლევს.

ნდობის ჯგუფთან დაკავშირებით ახალი ინიციატივით გამოვიდა ირმა ინაშვილი. პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიიჩნევს, რომ ამ ჯგუფის წევრები სიცრუის დეტექტორზე უნდა შემოწმდნენ.

რამდენიმე თვის წინ ხელისუფლების წარმომადგენლები გამოვიდნენ ინიციატივით, რომ ნდობის ჯგუფის წევრები უშიშროებამ შეამოწმოს. ეს ინიციატივა იმით ახსნეს, რომ ჯგუფის წევრებს საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი.

ინაშვილი მიიჩნევს, რომ ეს საკმარისი არ არის და სიცრუის დეტექტორზე შემოწმება უფრო ეფექტურია.

**ირმა ინაშვილი:**

– ორი თვის განმავლობაში სწავლობდა სუს-ი იმ კანდიდატებს, რომლებიც წარდგენილები იყვნენ ნდობის ჯგუფში. 2 თვის მანძილზე მიდიოდა ჩემი შესწავლის პროცესი. ამ შესწავლის მიზანია დაადგინოს, ვინ რომელ სპეცსამსახურთან თანამშრომლობს, უთანამშრომლია და ა.შ. ახლა სუს-ს ვთავაზობთ, სწორედ დეტექტორის საშუალებით დააგვირგვინოს შემოწმების პროცესი და გამოჩნდება, ვინ ვინ არის ნდობის ჯგუფში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კალაძის გაძლიერება ივანიშვილს არ აწყობს“

## თორნიკე შარაშენიძე: „ოცნების“ ლანძღვა ახლა უფრო ადვილია“

ნონა ცაბაძე



**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***— ბატონო თორნიკე, საკონსტიტუციო ცვლილებები როგორც ოპოზიციის, ისე საზოგადოების დიდ ნაწილში უკმაყოფილებას იწვევს. აცხადებენ, რომ ეს არ არის ჯანსაღი პროცესი, რომ „ოცნება“ კონსტიტუციას ჯიბეში იდებს. რას იტყვით თქვენ?***

— ჩვეულებრივ პროცესთან გვაქვს საქმე. აქ საუბარია ძალაუფლების აბსოლუტურ კონცენტრაციასთან. რეალურად მეტი არაფერი ხდება. ამას ყველა ძალიან კარგად ხვდება. ამის უკან დგას მხოლოდ ერთი სურვილი — ძალაუფლების აბსოლუტური კონცენტრაცია! სხვა კომენტარი ალბათ ზედმეტია.

ეს არ არის ჯანსაღი პროცესი! ჯანსაღი პროცესი ხელისუფლების დეცენტრალიზაციაა, ხოლო როცა ყველაფერი მიმართულია ამის საწინააღმდეგოდ, ეს კარგი ვერ იქნება.

***— ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული ვენეციის კომისია, რომ არც ერთ ცვლილებას არ შეიტანენ კონსტიტუციაში მათი დასკვნების გარეშე. შექმნილია საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელიც ამ ცვლილებებზე მუშაობს და ამ პროცესს მაინც უნდობლობას უცხადებთ?***

— ჯგუფი, რომელიც ამ ცვლილებებზე მუშაობს, კომპეტენტური ვერ არის და ეს მხოლოდ ჩემი აზრი არაა. ამ ჯგუფში ჩართულები არ არიან საზოგადოების წარმომადგენლები იმ დოზით, რა დოზითაც ეს საჭიროა. ყველაფერი კი მაინც ისე გადაწყდება, როგორც „ქართულ ოცნებას“ უნდა.

***— ფიქრობთ, რომ ვენეციის კომისიის დასკვნები გაზიარებული არ იქნება?***

— ჩვენ უკვე მიჩვეულები ვართ ამას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების აზრს უკეთებენ იგნორირებას. როცა გასდით, გასდით, როცა არ გასდით, მაშინ ჩუმად არიან. ახლა როცა სტრასბურში ჩააგდეს მოსამართლეების კანდიდატები, მიხვდნენ, რომ არ გაუვიდათ. ახლა ამასაც ოპოზიციას აბრალებენ. ახალი არაფერი ხდება. 9 წელს პლუს 5 წელი უკვე ერთსა და იმავეს ვუყურებთ და მივეჩვიეთ კიდეც. საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ, კარგი გირჩიონ. ისინი ხვდებიან, რომ ამ ხელისუფლების ქმედებები კრახს მოიტანს. სამწუხაროდ, ამას ჩვენი ხელისუფლება ვერ ხვდება.

***— ექსპერტები ურჩევენ ხელისუფლებას, რომ თუკი შეიცვლება პრეზიდენტის არჩევის წესი, ეს ცვლილება ძალაში 2020 წლიდან შევიდეს. რამდენად გაითვალისწინებს ხელისუფლება ამ რჩევებს?***

— რა თქმა უნდა, არ გაითვალისწინებს. 2020 წელსაც გეგმავენ არჩევნების მოგებას და უნდათ, რომ ამ დროისთვის პრეზიდენტიც იყოს მათ მიერ მართული. რატომ არ შეცვალეს საარჩევნო კოდექსი 2016 წლისთვის?! იმიტომ, რომ ეს საარჩევნო კოდექსი აწყობს იმას, ვინც ხელისუფლებაშია. 2012 წელს ნაცმოძრაობა ვერ წარმოიდგენდა, რომ წააგებდა არჩევნებს, თორემ შეცვლიდა. ამათაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ არჩევნებს წააგებენ, ამიტომ კოდექსს არ ცვლიან.

***— ოპოზიციურ ფლანგზე შექმნილია ჯგუფი, რომელიც განიხილავს საარჩევნო კანონმდებლობას და ცვლილებების შეტანას ითხოვს. არ წავა დათმობაზე ხელისუფლება?***

— ჯერჯერობით ვერ ვხედავ საიმისო მზადყოფნას, რომ დათმობაზე წავიდეს.

***— აქვს „ოცნებას“ იმის შანსი, რომ მესამე ვადით მოვიდეს ხელისუფლებაში?***

— ჩვენთან მმართველი ჯგუფი ორი ვადით არის ხოლმე ხელისუფლებაში და წესით, 2020-ში მათ არჩევნები უნდა წააგონ. თუმცა ისიც სერიოზული პრობლემაა, რომ ოპოზიციაში კატასტროფა ხდება! ამიტომ ეს მათ მცირე შანსს აძლევს. თუმცა ჩვენ ვნახეთ ისიც, რომ როცა მმართველი გუნდი აღწევს ძლიერების პიკს, მერე იწყება ხოლმე დაღმა სვლა. ის, რაც დაემართა სააკაშვილს 2011 წლიდან მოყოლებული. პიკზე ადიხარ, ყველაფერი შენია, მერე იწყება დაღმა სვლა.

***— ამით რისი თქმა გინდათ?***

— იმის, რომ შესაძლოა ოპოზიცია დღეს დაქუცმაცებულია და ძალიან სუსტია, ამის მიუხედავად, თუ ხელისუფლება საქმეს აფუჭებს, ის ხელისუფლება არჩევნებს აგებს. მადლობა ღმერთს, რომ ეს არის ქართული დემოკრატიის ერთ-ერთი კარგი დაუწერელი წესი.

***— თუკი „ოცნებამ“ იცის, რომ ორი ვადის შემდეგ მას აღარ აირჩევს ქართველი ხალხი, მაშინ რატომ არ მიდის საარჩევნო ცვლილებებზე?***

— მათი დიდი სურვილია, რომ 2020-იც მოიგონ და სწორედ ამიტომ ცდილობენ ამ მახინჯი სისტემის შენარჩუნებას, რომელიც მმართველ გუნდს ხელს უწყობს ხელისუფლებაში დარჩენაში.

***— ვინ დაუპირისპირდება „ოცნებას“? ან რა ხდება დღეს ოპოზიციურ ველზე?***

— ერთი პარტია, რომელიც იყო დარჩენილი და ისიც რომ დაიშალა, ამაზე კომენტარიც ზედმეტია. მიმდინარე ორი წელი ახალს არაფერს უნდა ველოდოთ. იქნება მდორე პროცესი ყველა მიმართულებით. ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც გაგრძელდება ეს მძიმე პროცესები.

***— წინ ხომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია?***

— „ოცნება“ დიდი უპირატესობით მოიგებს ამ არჩევნებსაც. ყველაფერი აქეთკენ მიდის. ხოლო იმის შემდეგ, როცა ამ არჩევნებსაც გაიფორმებს და ყველგან ექნება აბსოლუტური უმრავლესობა, მერე დაიწყება მისი დაღმა სვლა. ეს გარდაუვალი იქნება, თუ გუნდში ვინმე ჭკვიანი არ გამოჩნდა და სიტუაცია არ შეცვალა. მათ გუნდში კი ჭკვიანებს ვერ ვხედავ. ყველაფერს მართავს ერთი კაცი. ის რაც უნდა ჭკვიანი იყოს და ფაქტია, რომ ძალიან ჭკვიანია, შეცდომას აუცილებლად დაუშვებს.

***— ამ ერთ კაცში ივანიშვილს გულისხმობთ?***

— რა თქმა უნდა! აბა კვირიკაშვილს ხომ არ ვიგულისხმებ. ადგილობრივ არჩევნებამდე „ოცნების“ შიგნით ცვლილებებსაც არ გამოვრიცხავ. ესეც მოემსახურება იმას, რომ არჩევნების წინ გამოჩნდეს თითქოს წინ მიდიან და გუნდი განაახლეს. ღარიბაშვილის შეცვლა კვირიკაშვილით აღქმულ იქნა, როგორც პროგრესი და რეალურადაც ასე იყო. ახლაც იპოვნიან ისეთ ვიღაცას, რომ თქვან, ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე კვირიკაშვილი. თუმცა თუ სიტუაცია არ გამოსწორდა, პერსონალური ცვლილებები ვერ უშველის „ოცნებას“.

***— ვინ იქნება კვირიკაშვილის შემცვლელი? კალაძის დაწინაურებაზე რას ფიქრობთ? ზოგი მომავალ პრეზიდენტადაც განიხილავს.***

— ეს დაწინაურება თავისი შეზღუდვებით იქნება. კალაძე დამოუკიდებელი ფიგურაა. ყველაზე ნაკლები მას მართებს ივანიშვილის, განსხვავებით ღარიბაშვილისა და კვირიკაშვილისგან. ასე რომ, მისი გაძლიერება დიდად არ აწყობს ბატონ ბიძინას. ამიტომ ყველაფერი იქნება შეზღუდვებით. თუ კალაძე პრეზიდენტი იქნება, ექნება სერიოზული შეზღუდვები, ისედაც შეზღუდულია კონსტიტუციურად.

***— საუბარია, რომ გაზპრომის თემამ მის იმიჯს დარტყმები მიაყენა. ასეა?***

— გაზპრომის თემაზე კალაძეს მთელი სახელისუფლო გუნდი გადაეფარა. როგორც ყოველთვის, ყველა ერთ ხმაში ყვიროდა, რომ არაფერი ცუდი არ მომხდარა. რეალურად შესაძლოა კატასტროფა მართლაც არ მომხდარა, მაგრამ როდესაც ისინი ვერ ახერხებენ აუხსნან საზოგადოებას, რაშია საქმე, რატომ წავიდნენ დათმობაზე, მერე კითხვები ჩნდება ხოლმე. როცა კითხვები ჩნდება, „ოცნება“ აგრესიული ხდება. ესაა მათი პრობლემა და, პირველ რიგში, კალაძის პრობლემა. კითხვები მასში აგრესიას იწვევს. ეს ცუდია.

***— დღეს ოპოზიციური ველი თავისუფალია. არის ძალა, ვინც ამ ცარიელ ადგილს დაიკავებს? დღეს ნაციონალები მთავარ ოპოზიციად აღარ მოიაზრებიან. გამოჩნდება სერიოზული ოპოზიციური ძალა?***

— გეთანხმებით, ნაციონალური მოძრაობა დაიშალა. ის აღარ არის მთავარი ოპოზიციური ძალა. შესაძლოა, ერთი შეხედვით „ოცნების“ ინტერესებში იყო დაშლილი ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ თუ დაფიქრდებიან, ეს მათ ინტერესებში არ შედის.

***— რატომ?***

— „ოცნებას“ აქამდე ჰქონდა ძალიან კომფორტული სიტუაცია, ლანძღავდა ნაციონალებს. პირველი ოთხი წელი ამ ლანძღვამ გაამართლა. დღეს ნაცმოძრაობა დაიშალა და მათ ველი მოუსუფთავეს ახალ პოლიტიკურ ძალას. ხელისუფლებამ კომფორტული ოპონენტი დაასუსტა.

თუ ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდა, კივილი 9 წლიან რეჟიმზე აღარ გაჭრის. ახალს კი „ოცნება“ ასე მარტივად ვეღარ მოიფიქრებს. მათ წინააღმდეგ საზოგადოებაში ბევრი ნეგატივი დაგროვდება. ბოლო ერთ თვეში უკვე ორი სალანძღავი გაჩნდა მათ წინააღმდეგ, გაზპრომი და ცერცვაძის საქმე. რაც დრო გავა, ეს სალანძღავი უფრო მოიმატებს.

***— ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს თემები ზედმეტად პოლიტიზებული იყო.***

— კი ბატონო, გაზპრომის თემაც და ცერცვაძეც იყო ნაწილობრივ პოლიტიზებული, ეს ფაქტია, მაგრამ ხელისუფლებაში რომ ხარ, ეს ნეგატივად გიგროვდება. უფრო მარტივია შენი ლანძღვა. ბოლოს ხომ გახსოვთ, რა ხდებოდა, რაც უნდა დაგებრალებინათ სააკაშვილისთვის, ხალხს ყველაფრის სჯეროდა — ვიღაცას მკერდი მოაჭამა, ვიღაცას ფეხი მოამტვრიაო და მსგავსი სისულელეების ხალხს სჯეროდა.

უკვე იგივე ხდება „ოცნების“ შემთხვევაშიც. ნეგატივი დაგროვდა და მათი ლანძღვა იქნება გაცილებით იოლი, ვიდრე ეს იყო თუნდაც ორი წლის წინ. სწორედ რომ დროა ახალი ოპოზიციური ძალის გამოჩენის, ველი თავისუფალია, მაგრამ აქ ერთი მთავარი პრობლემაა.

***— რა პრობლემა?***

— საიდან მოვა ფული, დაფინანსება. ეს ყველაზე დიდი პრობლემაა. ამ ქვეყანაში დაფინანსების წყარო პოლიტიკოსებისთვის პრაქტიკულად გადაკეტილია. აშკარაა, რომ ფინანსურად ნაციონალებსაც გაუჭირდათ და ასეც იქნებოდა. ჩვენ არ ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა. ჩვენ ვართ ჰიბრიდული რეჟიმი. ჰიბრიდულ რეჟიმში კი ბიზნესი კონტროლდება ხელისუფლების მიერ. ხელისუფლება კი მკაცრად აფრთხილებს ბიზნესს, რომ ოპოზიციური ძალები არ დააფინანსოს.

# ამერიკელი ანალიტიკოსები: „სამხრეთ კავკასიაში კრიზისის ახალი კერების გაჩენაა მოსალოდნელი“

## აშშ გაეროს სტრუქტურებს თანხებს აღარ გამოუყოფს

მარიამ მჭედლიშვილი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი ადმინისტრაციის მოსვლამ მსოფლიოში ცვლილებები გამოიწვია. მსოფლიო დიდი ძვრების მოლოდინშია.

მსოფლიოსა და მის გარშემო მიმდინარე მოვლენები საქართველოზე აისახება.

ამერიკელი ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ ისეთ მნიშვნელოვან რეგიონში, როგორიც სამხრეთი კავკასიაა, გაჩნდება კრიზისის ახალი კერები.

ამის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის განზრახვა ირანთან დაკავშირებული შეთანხმების გაუქმების შესახებ.

ბარაქ ობამას პრეზიდენტობისას ირანმა წამყვან სახელმწიფოებთან ხელი მოაწერა ბირთვულ შეთანხმებას, რის შემდეგაც დასავლეთის ქვეყნებმა თეირანს ზოგიერთი სანქცია მოუხსნეს. ამან, ამერიკელი ექსპერტების აზრით, დადებითად იმოქმედა სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებასა და ირანის ურთიერთობებზე საქართველოსთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან. დონალდ ტრამპი ამ შეთანხმებას კატასტროფულს უწოდებს. მისი ანულირება, ანალიტიკოსების აზრით, უარყოფითად იმოქმედებს რეგიონულ ურთიერთობებზე და ახალი კრიზისების მიზეზი გახდება.

აშშ-ის ოფიციალური პირების განცხადებით, აშშ-ის პოლიტიკაზე სამხრეთ კავკასიის მიმართ გავლენას ახდენს სამი ძირითადი პრობ-



ბუშს საქართველოში სამხედრო ბაზების მოწყობა უნდოდა

ლემა — დემოკრატია და ადამიანის უფლებები, ენერგეტიკა და უსაფრთხოება.

ამ საკითხების პრიორიტეტულობა იცვლებოდა აშშ-ის სხვადასხვა ადმინისტრაციის მართვის დროს ბოლო 25 წლის განმავლობაში. მაგალითად, ბილ კლინტონის ადმინისტრაციის პერიოდში ეს იყო ენერგეტიკა, ჯორჯ ბუშის დროს — უსაფრთხოება, ხოლო ბარაქ ობამას დროს — ლიბერალური ინტერვენციონალიზმი.

ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა აშშ-სა და ირანს შორის. ამან ნეგატიური შედეგი მოუტანა სამხრეთ კავკასიის რეგიონს. ბუშს აქ სამხედრო ბაზების განლაგებაც უნდოდა, მაგრამ რეგიონის ქვეყნებმა, თვით საქართველომაც კი, ამაზე უარი თქვეს.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ბარაქ ობამას პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია მოხდა — სომხეთმა უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაზე და გახდა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი, აზერბაიჯანმა კი ოფიციალურად განაცხადა, რომ არცერთ სამხედრო ბლოკში არ შევა.

კავკასიის რეგიონის მნიშვნელობის მიუხედავად, კავკასიაში არსებული კონფლიქტების თემები უახლოეს ხანში მსოფლიოში პრიორიტეტული არ იქნება. მოსალოდნელია, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ იმსჯელოს უკრაინის პრობლემებზე. უკრაინის ხელისუფლება მოითხოვს, აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტებმა უკრაინის საკითხები უკრაინასთან ერთად განიხილონ. რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატებს ეს შეუძლებლად მიაჩნიათ. მათი აზრით, ტრამპი შეასრულებს თავის დანაპირებს და შეამოწმებს აშშ-ის მოქმედებებს უკრაინაში, ასევე იქ დახარჯული დიდი თანხების მიზნობრიობას. ამის შედეგად მოსალოდნელია პოლიტიკის შეცვლა და უკრაინისათვის ამერიკული დაფინანსების შეწყვეტა.

ამერიკის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფის შემცირება იგეგმება გაეროს მთელ რიგ სტრუქტურებში. ნიუ იორკ თაიმსის შეფასებით, თუ ხელი მოეწერება და განხორციელდება ბრძანებულებები, რომლებსაც პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია ამზადებს, აშშ-ის როლი გაეროში შემცირდება.

საუბარია იმაზე, რომ აშშ-ის ბიუჯეტი აღარ დააფინანსებს ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც სრულუფლებიანი წევრის სტატუსს ანიჭებენ პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციასა და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას. ეს ორგანიზაციები იმიტომაც არიან მიუღებელი ახალი ადმინისტრაციისათვის, რომ არ ასრულებენ სანქციებს ჩრდილოეთ კორეისა და ირანის წინააღმდეგ, ასევე მხარს უჭერენ აბორტების დაფინანსების პროგრამებს.

ტრამპის ადმინისტრაცია ასევე აპირებს იმ ორგანიზაციების დაფინანსების შეწყვეტას, რომლებსაც აკონტროლებენ ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოები ან ის ქვეყნები, რომლებიც სისტემატურად არღვევენ ადამიანის უფლებებს.


**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# კონსტანტინე გამსახურდია: „თუ ოპოზიცია ერთიანი იქნება, არსებულ საარჩევნო სისტემას შეცვლის“

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო სისტემაზე საუბრობს.**



***— ბატონო კონსტანტინე, საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით მსჯელობა მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, ხელისუფლებაში აზრთა სხვადასხვაობაა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. არსებული მოდელის დათმობა გაუჭირდება მმართველ ძალას?***

— ცხადია, გაუჭირდება. ძალიან მეეჭვება, რომ ხელისუფლება ახალ მოდელზე გადავიდეს. ალბათ, არ გადავა.

***— რატომ?***

— რადგან არსებული საარჩევნო სისტემა არის ხელისუფლების, ძალაუფლების შენარჩუნების წყარო. ამიტომ მეეჭვება, თუმცა ყველაფერი შეიძლება მოხდეს. რა თქმა უნდა, ეს პროცესზე და პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. თუ ეს ნება იარსებებს, მაშინ დათმობს, თუ არა, არ დათმობს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მაჟორიტარული სისტემა წყალივით არის საჭირო ხელისუფლებისთვის, რომ შემდგომ არჩევნებშიც მათ გარანტირებული ჰქონდეთ საკონსტიტუციო უმრავლესობა. მაჟორიტარული სისტემის ყველაზე მახინჯი ფორმაა ჩვენთან, მაჟორიტარები იქცევიან, როგორც ფეოდალები. მათ აქვთ უზარმაზარი ფინანსური რესურსი. პირადად დგანან ამა თუ იმ სახელისუფლებო გუნდის, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება წარმატების უკან. პირადად არიან ამ წარმატების გარანტორები. რა თქმა უნდა, ეს არის უპირობო გამარჯვების საწინდარი. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, ოპოზიციის წარმომადგენლები, რომ ეს არ არის სამართლიანი თამაშის წესები. ქვეყანაში არის მაჟორიტარ დეპუტატთა კლასი, პირდაპირ წოდებაა, რომლებიც პარლამენტიდან პარლამენტამდე, ოთხწლიან ციკლში რალაცნაირი ფორმით არსებობენ. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ მოვა ხელისუფლებაში, ყველასთან ალაგებენ ურთიერთობას. ერთი სიტყვით, ხელისუფლების ჩრდილქვეშ კარგად გრძნობენ თავს.

***— კონსტიტუციონალისტთა ნაწილი ამბობს, რომ რეგიონულ-პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, რომელიც ოპოზიციას აქვს წარდგენილი, არსებულ პრობლემებს სრულად მაინც ვერ მოხსნის. არ ეთანხმებით?***

— ეს გახლავთ ინტერპარტიული ჯგუფის მიერ წარდგენილი ვარიანტი, რომელიც წინა ფორმატში იქნა შემუშავებული არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ. თითქოს ამაზე მაინც წამოვიდოდა ხელისუფლება და ეს ერთგვარი გამოსავალი იქნებოდა. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა არის სენატის ამოქმედება, რაც ჩვენს კონსტიტუციაში წერია კიდეც. ცხადია, ვგულისხმობ ორპალატიან პარლამენტს. მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში მაჟორიტარული და პროპორციული სისტემა ერთად არ მოქმედებს. ეს 1990 წელს იყო პროგრესული და დიდი შრომის ფასად მიღწეული, დღეს ეს არ არის პრორუსული, პირიქით.

***— ორპალატიანი პარლამენტის მომხრე ხართ?***

— დიახ, მიმაჩნია, რომ ორპალატიანი პარლამენტისთვის ჩვენ ვართ მზად. ეს არის პროგრესული და დასავლური ტიპის დემოკრატიისთვის აუცილებელიც კი. სენატი, სადაც წარმოდგენილი იქნებიან მაჟორიტარები, თავისუფლად შეიძლება იყვნენ ქუთაისში და ეს ქუთაისის პარლამენტის შენობის პრობლემასაც გადაჭრიდა.

***— თუმცა სიახლის შიშის ფაქტორზეა საუბარი.***

— ფედერალიზაციასა და ასეთ რალაცებზე საუბრობენ, მაგრამ ჩვენ ეს ეტაპი უკვე გავიარეთ და არა მგონია, ეს რეალური საფრთხე იყოს. ფედერალიზაცია ბუნებრივად უნდა ხდებოდეს და არა ზევიდან. რეალურად ყველა რეგიონს აქვს თავისი ბუნებრივი მოთხოვნილება, მისწრაფებები, თუმცა მე არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობ სეპარატიზმს, გამოყოფას, განდგომას და ა.შ. არავითარ შემთხვევაში, ეს სრულიად დაუშვებელია. აქ საუბარია იმაზე, რომ რეგიონმა თავისი ელემენტარული პრობლემა, საკითხი თვითონ უნდა გადაწყვიტოს და არ უნდა უკარნახოს თბილისიდან ვილაც ბიუროკრატმა.

***— თქვენ საუბრობთ დეცენტრალიზაციაზე?***

— დიახ, ბუნებრივ დეცენტრალიზაციაზე და არა მითითებით, ვილაცის გადაწყვეტილებით.

***— ორპალატიანი პარლამენტის იდეის საწინააღმდეგოდ ერთ-ერთი არგუმენტი მეტი ბიუჯეტია. ეს არ დააწვება სახელმწიფო ბიუჯეტს?***

— არავითარ შემთხვევაში, თუ პარლამენტართა რაოდენობა იგივე დარჩება და მხოლოდ გაიყოფა. არავითარი დამატება, შეიძლება, მხოლოდ 5 სენატორი დაემატოს. მე აბსოლუტურად მესმის, რომ ბიუჯეტი არის ძალიან მნიშვნელოვანი და უქნარების შენახვა, მით უფრო მოხელეების, რომლებიც ქვეყნის მოქალაქეების კმაყოფაზე არიან, სრულიად მიუღებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ამ გზით გადავჭრით ბევრ პრობლემას, ერთხელ და სამუდამოდ გადავალთ არსებული მახინჯი მოდელიდან სრულყოფილი დემოკრატიული ტიპის ქვეყნების მართვის მოდელზე. ადამიანები, რომლებსაც აქვთ ქვეყნის წინაშე პოლიტიკური დამსახურება, შეიძლება გახდნენ სენატორები.

***— საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით მაინტერესებს თქვენი პოზიცია: 5% ბარიერი, ფიქრობთ, მაღალია?***

— შეიძლება, 4% დაიწიოს. ამაში მე ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, პირიქით, ოქტომბრის არჩევნებზე რომ ყოფილიყო 4% ბარიერი, ბევრად უფრო ფართო სპექტრი იქნებოდა საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი. აუცილებლად შევიდოდნენ თავისუფალი დემოკრატები და, ალბათ, ლეიბორისტებიც. მრავალსუბიექტიანი პარლამენტი უფრო არის რეალური პარლამენტის სახე და არა ორსუბიექტიანი. პარლამენტი არის ის ადგილი, სადაც პარტიები უნდა იყოს წარმოდგენილი და აზრთა ჭიდილი უნდა იყოს. ერთი და ორი აზრი არაფერს მოიტანს.

***— რამდენად წავა ხელისუფლება დათმობაზე და ეს რამდენად არის დამოკიდებული ოპოზიციის ნებაზე?***

— ეს ორი რამ მართლაც არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული. თუ ძლიერი და ერთიანი იქნება ოპოზიცია, შედეგს მიაღწევს, თუ არა, დარჩება იგივე მახინჯი საარჩევნო სისტემა, რაც გვაქვს. თუ საზოგადოებაც იქნება მოწოდების სიმაღლეზე და, თუ საჭირო გახდა, გამოვა ქუჩაში, მაშინ ხელისუფლებას სხვა გზა არ დარჩება და დათმობაზე წავა.

# საქართველოს პრეზიდენტმა კაბელების საქმეზე მსჯავრდებულები შეიწყალა



საქართველოს პრეზიდენტმა კაბელების საქმეზე მსჯავრდებულები შეიწყალა. აღნიშნული განცხადება საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკურმა მდივანმა ფიქრია ჩიხრაძემ გააკეთა.

პრეზიდენტის პოლიტიკური მდივანი მიიჩნევს, რომ პროცესის ვერც ერთ ეტაპზე პროკურატურამ ვერ შეძლო წაყენებული ბრალის სათანადოდ დასაბუთება, რასაც სხვადასხვა დროს არაერთი მწვავე შეფასება მოჰყვა, როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.

— საქართველოს პრეზიდენტი ამ ხნის განმავლობაში აკვირდებოდა და შესაბამის ინფორმაციას იღებდა თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების საქმის მიმდინარეობის შესახებ.

სამწუხაროდ, მთელი პროცესის განმავლობაში პოლიტიკოსების მხრიდან წინმსწრებად გამოთქმული შეფასებები ამძიმებდა საქმის ვითარებას და აღძრავდა კითხვებს შერჩევითი მართლმსაჯულებისა და პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლებრივი დევნის თაობაზე, — განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული პირების შეწყალების თაობაზე.

**ინტერპრესნიუსი**

# ოთარ კახიძე: „შს მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს“

— შს მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდ არ მოხდეს ქართველ ჯარისკაცებთან დაკავშირებით რუსეთთან თანამშრომლობა და მათი ექსტრადირებაში ხელშეწყობა.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა ოთარ კახიძემ განაცხადა.

— ხელისუფლება საკუთარ პასუხისმგებლობას ვერ აცნობიერებს, როგორ ითანამშრომლეს რუსეთის ფედერაციასთან გია ცერცვაძის მონაცემებზე, არაფერი გააკეთეს, რომ ინტერპოლის ძებნაზე არ დაესვათ და ძებნილი პირი საზღვარზე გაატარეს. არ აღიარებენ არც ერთ პრობლემას და არ იღებენ პასუხისმგებლობას. ეს მათი ხელწერაა, — აღნიშნა ოთარ კახიძემ.

ის ვიცე-ოლკოვნიკ გია ცერცვაძის გათავისუფლებას ულოცავს მის ყველა გულშემატკივარს და ვინც მცირედი წვლილი მაინც შეიტანა მისი გათავისუფლების საქმეში.

— მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდ არ მოხდეს ქართველ ჯარისკაცებთან დაკავშირებით რუსეთთან თანამშრომლობა და მათი ექსტრადირებაში ხელშეწყობა. ამისთვის კი უნდა გამოვლინდეს ყველა ის პირი, ვინც ბრალეული ქმედებით ხელი შეუწყო ამ ყველაფერს. უნდა დადგეს შს მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი, — განაცხადა ოთარ კახიძემ.



ვიცე-პოლკოვნიკი გია ცერცვაძე, რომელიც აფხაზეთისა და 2008 წლის ომებში რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა, 15 იანვარს უკრაინაში დააკავეს. მას რუსეთი 2003 წელს დანაშაულის ჩადენაში ედავება, თუმცა ცერცვაძეზე საერთაშორისო ძებნა მხოლოდ 13 წლის შემდეგ, 2016 წლის 23 დეკემბერს გამოცხადა.

ის პატიმრობიდან 26 იანვარს გათავისუფლდა, თუმცა ცერცვაძეზე საექსტრადიციო წარმოება გრძელდება. ძიების დასრულებამდე, რაც 40-დღიან ვადას მოიცავს, ცერცვაძეს უკრაინიდან გასვლა აკრძალული აქვს.

**ინტერპრესნიუსი**

# ირაკლი სესიაშვილი: „ასეთი ინტენსიური ურთიერთობები, რაც ნატოსთან გვაქვს, აქამდე არასდროს გვქონია“



— სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი ინტენსიური ურთიერთობები, როგორიც ბოლო წლებში გვაქვს ნატოსთან, აქამდე არასდროს გვქონია.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, ნატო-საქართველოს ურთიერთობებში არაფერი შეცვლილა. ოპოზიციის მხრიდან კრიტიკულად გაკეთებულ განცხადებებს ის სპეკულაციას უწოდებს.

— ოპოზიციამ და ე.წ ექსპერტებმა შექმნეს ხელოვნური აჟიოტაჟი, რომ აი საქართველო არ მიდის ნატოს სამიტზე და საქართველომ თითქოსდა პოლიტიკური კურსი შეცვალა. ეს არის სრული აბსურდი.

ასეთი ინტენსიური ურთიერთობები, როგორიც ბოლო წლებში გვაქვს ნატოსთან, აქამდე არასდროს გვქონია. ამ რამდენიმე თვეში ნატოს სამხედრო კომიტეტი ეწვევა საქართველოს, მაისში ნატოს საპარლამენტო ასამბლეა თბილისში ტარდება, ნატო-საქართველოს კომისია შედგა წინა სამიტზე, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო და მასში უმაღლესი თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ. ამიტომ ამ თემით სპეკულირება არის მხოლოდ შავი პიარის ნაწილი.

ჩვენ უფრო მეტად ორიენტირებულნი ვართ შინაარსზე, შედეგებზე და არა ფორმებზე, რადგან ჩვენ გვახსოვს, რომ ამ ფორმებით დახუნძლული იყო მედია, თუმცა საქმე რეალურად არ კეთდებოდა, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ლევან ვარშალომიძემ აჭარის უმაღლესი საბჭო დატოვა




ლევან ვარშალომიძემ აჭარის უმაღლესი საბჭო დატოვა. ის დიპლომატიურ პასპორტს აჭარის უმაღლეს საბჭოს უკან გაუგზავნის.

— ბევრი კითხვა ისმოდა, თუ როდის გავა ლევან ვარშალომიძე აჭარის უმაღლესი საბჭოდან? მე უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე დოკუმენტს ხელს ოფიციალურად ვაწერ.

ეს განცხადება უმაღლეს საბჭოში შევა, მაგრამ წევრობაზე უარი არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიქნებით აჭარაში ან ბათუმში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩემს ხალხს ვტოვებ.

ჩვენი ადგილსამყოფელი არის პარტიის ოფიში, რომელიც ყველასთვის ღიაა. ჩემს გუნდთან ერთად აუცილებლად გავაგრძელებ ბრძოლას. გუშინ კანონმდებლობის დაცვით ავიღე დიპლომატიური პასპორტი, თუმცა დღეს ვაბარებ მას, ალბათ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე კარგად შეინახავს, — განაცხადა ლევან ვარშალომიძემ.

ლევან ვარშალომიძე აჭარის უმაღლეს საბჭოში ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომერია, თუმცა მან რეგიონის საკანონმდებლო ორგანოში შესვლაზე უარი განაცხადა.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს პროკურატურა თემურ ბასილიას საქმეს გადასინჯავს



საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა უკანონოდ გასამართლებული ოთხი მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება,

შესწავლილ იქნა საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რის საფუძველზეც გამოძიებამ თითოეულ ამ საქმეში მოიპოვა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც გამოირიცხა ოთხივე მსჯავრდებული პირის მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი გასამართლებულნი არიან.

* * *

მსჯავრდებული შალვა შალიკაშვილი გაყალბებული მტკიცებულებების და 12 წლის დაზარალებულის ცრუ დასმენის შედეგად გასამართლებული იქნა 2008 წლის 31 ივლისს, ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ, მიესაჯა 15 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და უკვე მეცხრე წელია იხდის სასჯელს.

შალვა შალიკაშვილის მსჯავრდებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, დაზარალებულმა პროკურატურას განცხადებით მიმართა და მისი გათავისუფლება ითხოვა, ვინაიდან მან პირადი განაწყენების გამო განზრახ დაასმინა შალვა შალიკაშვილი გაუპატიურებაში.

დაზარალებულის აღიარების და გამოძიებით დადგენილი ახალი გარემოებების საფუძველზე, რომელიც გამორიცხავს შალვა შალიკაშვილის რაიმე სახით მონაწილეობას დანაშაულში, პროკურატურა განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით სასამართლოს მიმართავს.

* * *

კიდევ ერთი მოქალაქე, რომლის განაჩენიც გადაისინჯება, თემურ ბასილიაა, რომელიც გასამართლებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით ქრთამის აღების ცრუ ბრალდებისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2006 წლის 25 თებერვალს, გენერალური პროკურატურის მიერ თაღლითობის და დოკუმენტის გაყალბებისთვის დაკავებული იყო სს ინტელექტბანკის გენერალური დირექტორი გოგი სალია და ცენტრალური ფილიალის მმართველი ლევან კვირიკაშვილი.

გენერალურ პროკურატურას სურდა, დანაშაულში გამოევლინა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი თანაშემწე თემურ ბასილია, რომელიც დაპირისპირებული იყო იმჟამინდელ ხელისუფლებასთან.

ამ მიზნით, პროკურატურის ხელმძღვანელი პირების ორგანიზებით საპატიმრო დაწესებულებაში, ფარულად, კანონდარღვევით შეიყვანეს ინტელექტბანკის აქციონერები, რომლებმაც პატიმარ გოგი სალიას და ლევან კვირიკაშვილს გადასცეს პროკურატურის კატეგორიული მოთხოვნა, რომ ხელი მოეწერათ იმ ჩვენებაზე, რომელსაც მათ გამოძიება წარუდგენდა, თითქოსდა თემურ ბასილია ინტელექტბანკისთვის დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ ბანკისგან ქრთამის სახით იღებდა ფულად თანხებს. პროკურატურისთვის ასეთი ჩვენების მიცემის შემთხვევაში კი მათი საქმე დადებითად გადაწყდებოდა და ისინი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დატოვებდნენ საპატიმრო დაწესებულებას.

პროკურატურის მიერ ასეთი მეთოდებით ყალბი ჩვენების მიღების შემდეგ, თემურ ბასილია უკანონოდ იქნა მსჯავრდებული.

* * *

ახალმა დეპარტამენტმა მოქალაქეების ალიკო ხარჩილავას და ლაშა წურწუმიას განაჩენების გადასინჯვის გადაწყვეტილებაც მიიღო, რომლებიც, უწყების ინფორმაციით, განზრახ მიეცნენ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში, რათა საქართველოს რკინიგზას მათგან იძულებით ამოეღო თანხები.

კერძოდ, 2004 წელს შპს საქართველოს რკინიგზამ გამოაცხადა ტენდერი სხვადასხვა სახის ელექტროსაქონლის და პროდუქციის მიწოდების თაობაზე, სადაც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გაიმარჯვა შპს „ოდაბადემ“ (დირექტორი ლაშა წურწუმია, წარმომადგენელი ალიკო ხარჩილავა).

კომპანიამ სრულად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და საქართველოს რკინიგზას მიაწოდა 26.100 აშშ დოლარის ღირებულების ელექტროსაქონელი.

2005 წლის ნოემბერში ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტმა მითვისების ბრალდებით დააკავა შპს „ოდაბადეს“ წარმომადგენლები ლაშა წურწუმია და ალიკო ხარჩილავა, რომლებმაც თითქოსდა საქართველოს რკინიგზა შეიყვანეს შეცდომაში და მიწოდებული საქონლის ღირებულება, ნაცვლად ლარისა, მიიღეს აშშ დოლარში, რითაც მიაყენეს 34.960 ლარის ზიანი.

სინამდვილეში საქართველოს რკინიგზის წარმომადგენლებმა დამალეს აშშ დოლარში დაფიქსირებული სატენდერო წინადადება და საგამოძიებო სამსახურს მიაწოდეს ყალბი ინფორმაცია, რაც გახდა საფუძველი ლაშა წურწუმიას და ალიკო ხარჩილავას უკანონო დაპატიმრების.

სამართალდამცავების გადაწყვეტილებით, ლაშა წურწუმია და ალიკო ხარჩილავა, მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს პატიმრობიდან, სანამ მათ არ დაფარეს არარსებული ზიანის თანხა და ჯარიმის სახით არ გადაიხადეს თითოეულმა 30.000 ლარი.

* * *

უწყების ინფორმაციით, ახალი გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მსჯავრდებულების მიმართ ბრალად შერაცხულ დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც ოთხივე მსჯავრდებულის მიმართ პროკურატურის მიერ გამოტანილია დადგენილებები მსჯავრდებულის უფლების დარღვევის თაობაზე.

— ამის საფუძველზე ჩვენ მივმართავთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენების გადასინჯვის მოთხოვნით, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

# მიცუბიში ხეს შეეჯახა



გურჯაანის რაიონის სოფელ კახიფართან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა.

ავარიის მიზეზი გადაჭარბებული სიჩქარე გახდა. თვითმხილველები აცხადებენ, რომ მიცუბიშის მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ხეს შეეჯახა.

დაშავებულები თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათი მდგომარეობა მძიმეა.

როგორც ნიუპოსტს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტით მოძრაობისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# ქუთაისში ინკასაციის მანქანა გაძარცვეს




ქუთაისში ინკასაციის მანქანა გაძარცვეს.

ევდოშვილის ქუჩაზე მანქანას ნიღბიანი პირები დაესხნენ. თავდასხმა მაშინ მოხდა, როდესაც სწრაფი ჩარიცხვის აპარატს ბანკის თანამშრომლები დაგროვებული თანხისგან ცლიდნენ.

მომხდარზე გამოძიება დაიწყო.

# ავარია შროშასთან




სოფელ შროშასთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სამგზავრო მიკროავტობუსის რამდენიმე მგზავრი დაშავდა.

როგორც ინტერპრესნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ერთმანეთს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მოძრავი სამარშრუტო ტაქსი და საპირისპირო მიმართულებით მოძრავი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად მიკროავტობუსი გადაბრუნდა.

დაზიანებები მიიღო რამდენიმე მგზავრმა, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# ჟურნალისტ გიორგი გასვიანის ცემის ფაქტზე სამი პირი დააკავეს

18 დეკემბერს, ტელეკომპანია „იბერიას“ ჟურნალისტ გიორგი გასვიანის ცემისა და მუქარის ფაქტზე, საქართველოს პროკურატურამ სამი პირი მიხეილ ხუციშვილი, პაატა კვინიკაძე და ბორის გოგიჩაიშვილი დააკავა.



საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ჟურნალისტ გიორგი გასვიანის მიმართ განხორციელებული ცემისა და მუქარის ფაქტზე, ბრალდებულის სახით დაკავებული იქნენ მიხეილ ხუციშვილი, პაატა კვინიკაძე და ბორის გოგიჩაიშვილი.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წლის 18 დეკემბერს, ტელეკომპანია „იბერიას“ ჟურნალისტი გიორგი გასვიანი, მისი კუთვნილი ავტომანქანით, გაემგზავრა ქ. ბორჯომში, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღო სასტუმრო „ქრაუნ პლაზა ბორჯომში“ ჟურნალისტებისთვის გამართულ სემინარში.

დაახლოებით 24:00 საათზე, ქ. ბორჯომში ჩასულს, მას სავალ გზაზე ავტომანქანა მოუცურდა, რის გამოც მის მანქანასთან საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ავტომანქანა გაჩერდა, რომელსაც მიხეილ ხუციშვილი მართავდა. ამ უკანასკნელს თან ახლდნენ მეგობრები — პაატა კვინიკაძე და ბორის გოგიჩაიშვილი.

აღნიშნული პირები გადმოვიდნენ ავტომანქანიდან, მივიდნენ გიორგი გასვიანის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანასთან და დაუწყეს ცემა სახისა და სხეულის სხვადასხვა არეში, ხოლო მიხეილ ხუციშვილმა გიორგი გასვიანს თავზე დაადო პისტოლეტი და მის მიმართ განახორციელა მუქარა, რაც გიორგი გასვიანის მიერ აღქმული იქნა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზიანების რეალურ საფრთხედ.

მიხეილ ხუციშვილმა, ბორის გოგიჩაიშვილმა და პაატა კვინიკაძემ მხოლოდ მას შემდეგ შეწყვიტეს ცემა, რაც გიორგი გასვიანისგან შეიტყვეს, რომ იგი ჟურნალისტი იყო და დაიწყეს მისი დაყოლიება იმაზე, რომ გიორგი გასვიანს აღნიშნული ფაქტი არსად გაემჟღავნებინა. შემდეგ კი მიაცილეს სასტუმრო „ქრაუნ პლაზა ბორჯომში“.

მიხეილ ხუციშვილის, ბორის გოგიჩაიშვილის და პაატა კვინიკაძის ბრალდებულის სახით დაკავებისას პროკურატურამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ თავისუფლებაში მყოფი ბრალდებულები ზემოქმედებას მოახდენდნენ მოწმეებზე.

ბრალდებულები არ აღიარებენ დანაშაულს, არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან, ამასთან, მხედველობაში იქნა მიღებული ის ფაქტიც, რომ მიხეილ ხუციშვილმა, ბორის გოგიჩაიშვილმა და პაატა კვინიკაძემ დანაშაულის ჩადენისთანავე სცადეს მისი დაფარვა, კერძოდ, მას შემდეგ, რაც მათთვის ცნობილი გახდა, რომ დაზარალებული გიორგი გასვიანი იყო ჟურნალისტი, დაიწყეს მისი დაყოლიება, რომ არ გაემჟღავნებინა მომხდარი და არ მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისთვის. დაზარალებული სასტუმროში დატოვეს მას შემდეგ, რაც მიიღეს პირობა, რომ მომხდარის შესახებ გიორგი გასვიანი არსად განაცხადებდა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურატურამ მიმართა სასამართლოს მიხეილ ხუციშვილის, ბორის გოგიჩაიშვილის და პაატა კვინიკაძის დაკავების შუამდგომლობით.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით და 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ვადით.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ბანკები უნდა იყვნენ ბიზნესის პარტნიორები და არა — კონკურენტები



„ბანკები უნდა იყვნენ ბიზნესის პარტნიორები და არა – კონკურენტები“

კომერციული ბანკებიდან არაპროფილური აქტივების გამიჯვნასთან დაკავშირებით პარლამენტში დეპუტატების ჯგუფი უკვე მუშაობს.

როგორც რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „პოლიტკომერსანტი“ უმრავლესობის წევრმა ილია წულაიამ განაცხადა, ამ ეტაპზე საკითხზე მსჯელობა ბიზნესთან და ბანკებთან მიმდინარეობს.

– კონსულტაციები გვაქვს ბანკებთან და ბიზნესთან, ვაყალიბებთ ისეთ ინიციატივას, რომელიც მისაღები იქნება ყველასთვის. ჩვენ ეროვნულ ბანკთან კონსულტაციები ჯერ არ გაგვივლია. თუმცა ამ რეგულაციის შემუშავება აუცილებლად ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით მოხდება.

საკითხის განხილვაში ჩაერთვებიან ბანკებიც, რადგან მათი პოზიციაც ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი ბანკები მომხრეები არიან, რომ კომერციული ბანკები არაპროფილურ აქტივებს არ უნდა ფლობდნენ. დღეს რეგულაცია არსებობს, მაგრამ ეს რეგულაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ არაპირდაპირ მაინც ფლობდეს ასეთ აქტივებს, – აცხადებს წულაია.

მისივე თქმით, პარალელურად, ჯგუფი მუშაობს იმაზე, თუ როგორია დასავლური პრაქტიკა. განიხილება გერმანიის, ამერიკის და საფრანგეთის მაგალითები.

– საბოლოო ჯამში ჩვენ ავიღებთ ისეთ ვარიანტს, რომელიც ყველაზე თანამედროვეა და მიღებული, – აღნიშნა წულაიამ.

რაც შეეხება იმას, თუ რა ბედი ეწევა იმ აქტივებს, რომლებსაც დღეს ბანკები ფლობენ, წულაიას თქმით, ამ შემთხვევაში ბანკების ინტერესი გათვალისწინებული იქნება.

– ჩვენ მივიღებთ ისეთ გადაწყვეტილებას, სადაც ასეთი ბანკების ინტერესებიც იქნება გათვალისწინებული. ამასთან, მივიღებთ ისეთ კანონს, რომელიც მომავალში გამორიცხავს მსგავს შემთხვევებს.

ასეთი პრაქტიკა ყველგან ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას, ბანკი ამ შემთხვევაში არის დაინტერესებული მხარე, ის არის ბიზნესის კონკურენტი. ჩვენი ხელისუფლების ამოცანაა, რომ პირველ რიგში წაახალისოს ბანკი, დააფინანსოს კერძო ბიზნესი, ბანკი ბიზნესის პარტნიორი უნდა იყოს და არა – კონკურენტი. ამ ამოცანის მისაღწევად აქტიურად ვმუშაობთ, – განაცხადა წულაიამ.

რაც შეეხება ვადებს, დეპუტატის განცხადებით, ახალი საკანონმდებლო პაკეტი, სავარაუდოდ, 3-4 თვის განმავლობაში მომზადდება.

– იმედი მაქვს, რომ ამ პერიოდში მოხდება საკითხის გადაწყვეტაც, – განაცხადა წულაიამ.

## თიბისი ფეის აპარატებზე 1 ლარიანი საკომისიო გაუქმდა

ქუჩებში განთავსებულ „თიბისი ფეის“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატებზე 1 ლარიანი საკომისიო გაუქმდა.

საუბარია საბანკო ოპერაციებზე, რაც თიბისი ბანკის ანგარიშზე თანხის შეტანას გულისხმობს.

როგორც ბიზნესპრესნიუსს „თიბისი ფეის“ დი-



რექტორმა ანზორ მანწკავამ უთხრა, ეს ცვლილება 5 იანვრიდან მოქმედებს.

– თიბისი ბანკის შენობებში არსებული სწრაფი ჩარიცხვის აპარატებზე არც აქამდე იყო საკომისიო, თუმცა, 5 იანვრიდან აღარც ქუჩაში არსებულ აპარატებზე ჩამოეჭრებათ მოქალაქეებს 1 ლარი. კერძოდ, ქუჩებში არსებულ აპარატებზე თქვენი უკონტაქტო საბანკო ბარათით აპარატზე იდენტიფიკაციის შემთხვევაში ისეთ საბანკო სერვისებზე, როგორიცაა სესხის დაფარვა, ანგარიშზე თანხის შეტანა, დეპოზიტის შევსება და ა.შ. ქუჩაში მდგომი აპარატები საკომისიოს – 1 ლარს აღარ ჩამოგაჭრით, – აღნიშნა მანწკავამ.

**ბიპიენი**

## შარდენის ქუჩაზე 8 ობიექტმა გარე კონსტრუქციები აიღო

მერიის გაფრთხილების შემდეგ, შარდენის ქუჩაზე 8 ობიექტმა გარე კონსტრუქციები აიღო, 1 ობიექტი კი დაჯარიმდა.

როგორც ქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ბიზნესკონტრაქტს განუცხადეს, საქმის წარმო-



ება ჯამში 18 ობიექტზე მიმდინარეობდა და მათ გარე კონსტრუქციების საკითხის მოგვარება 15 იანვრამდე დაევალათ.

მამუკა ჯაყელი ბიზნესკონტრაქტთან საუბრისას ამბობს, რომ ამ ეტაპზე 10 ობიექტზე საქმის წარმოება შეწყვეტილია, დანარჩენ 8-ზე კი კვლავ მიმდინარეობს, რადგან აღნიშნული კაფე-ბარები კონსტრუქციების, კერძოდ კი, საფეხმავლო ბაქნების აღების პროცესში არიან.

– ეს არ იყო რეგულაცია, მერიამ მხოლოდ შეახსენა მათ, რომ მოეყვანათ წესრიგში გარე ინფრასტრუქტურა. მაგალითად, ვიღაცას ჰქონდა ნებართვა აღებული და ვადა ჰქონდა გასული. ჩვენი თვითმიზანი არაა დაჯარიმება, ჩვენი თვითმიზანია, რომ ყველაფერი გაკეთდეს კანონის ფარგლებში, – ამბობს ჯაყელი.

**ნინო კვინტრაძე, ბიზნესკონტრაქტი**

## პროკრედიტ ჰოლდინგი: არაპროფილური აქტივები ბანკს არ აქვს

– არაპროფილური აქტივები ბანკს არ აქვს და არასდროს გვიცდია სხვა სექტორში შესვლა, – განაცხადა ბიზნესკონტრაქტის კითხვაზე საპასუხოდ პროკრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ კლაუს პიტერ ცაიტინგერმა.

მისი განცხადებით, ბანკის ზედამხედველობა ხორციელდება როგორც გერმანიაში, ასევე საქართველოშიც და „ეს ასეც უნდა იყოს“.

– გერმანიაში ჩვენს ჰოლდინგს ზედამხედველობას უწევენ, რეგულატორები საკმაოდ ხშირად მოდიან და 4 კვირის განმავლობაშიც კი ამოწმებენ სხვადასხვა საკითხებს, თუ არის, მაგალითად, რაიმე სახის რისკი. ჩვენთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს.

ჩვენ ასევე გვყავს ქართველი ზედამხედველიც. პროკრედიტ



ბანკს არ აქვს არასაბანკო აქტივები, ჩვენ არასდროს გვიცდია შეგვეძინა სხვა სექტორის აქტივები.

ევროპული გამოცდილებითაც ეს ასეა და ბანკებს სხვა ბიზნესი არ აქვთ, რათა არ შეიქმნას ინტერესთა კონფლიქტი, რაც საქმეს ყოველთვის ართულებს.

ვთვლი, რომ შესაბამის უწყებებს საკმარისი ნდობა აქვთ, რომ კონტროლი განახორციელონ, – განაცხადა კლაუს პიტერ ცაიტინგერმა.

პროკრედიტ ბანკში აცხადებენ, რომ ახალი კანონმდებლობის განხილვაში მონაწილეობას არ იღებენ, რადგან მათ ბანკს არაპროფილური აქტივები არ აქვს. ბანკის დირექტორის თქმით, თუკი ინტერესთა კონფლიქტი არსებობს, ის უნდა გაიმიჯნოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

– ეს საკითხი დიდი ხანია ჩვენს ქვეყანაში განიხილება, პროკრედიტ ბანკი არის ბანკი და სხვა ბიზნესში არ არის ჩართული. ჩვენი მხრიდან განხილვებში ჩართულობასაც ალბათ დიდი აზრი არ აქვს, ეს დინამიკა და განხილვები არის სწორი და პოზიტიურად ვაფასებთ, მაგრამ ჩვენი მხრიდან მასში არ ვმონაწილეობთ. მთავარია, რომ არ არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი. ჩვენი პოზიციაა, რომ ბანკი უნდა აკეთებდეს საბანკო საქმეს, – აცხადებს ბანკის დირექტორი.

**ნინო კვინტრაძე, ბიზნესკონტრაქტი**

## პირველი ქართული პლანშეტი ანალოგებზე 50%-ით ნაკლები ეღირება

### ტაბლეტი სკოლების სასწავლო პროგრამას მოერგება

ქართული ტელევიზორის მწარმოებელი კომპანიას აგ ტელეკომს ქართული პლანშეტების წარმოების იდეაზე უარი არ უთქვამს.

როგორც კომპანიის ხელმძღვანელი მიხეილ ღლონტი ბიზნესკონტრაქტთან აცხადებს, პლანშეტის სატესტო მოდელი უკვე შექმნილია, თუმცა, მის დამუშავებას რამდენიმე თვე დასჭირდება.

მიხეილ ღლონტის თქმით, ქართული პლანშეტი საუკეთესო ხარისხის პლანშეტების ხარისხის იქნება, თუმცა, დაახლოებით 50%-ით ნაკლები ეღირება, ვიდრე უცხოური ანალოგები.

პლანშეტები შესაძლოა, სკოლისა და ინსტიტუტების სასწავლო პროგრამებსაც მოერგოს და დამხმარე სახელმძღვანელო იყოს მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის.

– გვინდა, რომ იყოს სხვადასხვა მოდიფიკაციის, სხვადასხვა ზომის პლანშეტები, განსხვავებული კამერების სიმძლავრით და ა.შ. ასევე გვქონდა შეხვედრა განათლების მინისტრთან, ჩვენ გავიგეთ მისი პოზიცია, როგორი უნდა იყოს პლანშეტები, რომლებიც შეიძლება სკოლისთვის და ინსტიტუტებისთვის. ძირითადი მორგება ალბათ მოხდება ამ მიმართულებით.

მე არ მგონია, რომ მთლიანად ელექტრონული სწავლება შემოვა, წიგნი წიგნად დარჩება, პლანშეტში უნდა იყოს დამხმარე, სანიმუშო მასალა. ეს არ უნდა იყოს მარტო სკოლისთვის, სტუდენტებისთვისაც საჭიროა, – განაცხადა




მიხეილ ღლონტმა.

მისივე თქმით, პლანშეტის საბოლოო მოდელი, სავარაუდოდ, მომავალი სასწავლო წლისთვის იქნება მზად.

**სალომე მეცხვარიშვილი, ბიზნესკონტრაქტი**

## სომხეთს რუსეთში ტვირთების გატანა სამხრეთ ოსეთის გავლით სურს

### „ამ საკითხზე ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ“

სომხეთი რუსეთში ტვირთების გატანის ალტერნატიულ მარშრუტს ეძებს.

სომხეთის ტრანსპორტის სამინისტრომ პრემიერ-მინისტრ კარენ კარაპეტიანისგან დავალება უკვე მიიღო. როგორც სპუტნიკ არმენია წერს, საუბარია ტვირთების სამხრეთ ოსეთის გავლით გადატანაზე.

– გამომდინარე იმ შეზღუდვებიდან, რომლებიც რთული კლიმატური პირობების გამო ხშირად ხდება სტეფანწმინდა-ლარსის გზის მონაკვეთზე, აუცილებელია რუს და ქართველ კოლეგებთან მოლაპარაკების დაწყება და 1 მარტამდე კონკრეტული წინადადებების წარდგენა ალტერნატიულ მარშრუტებთან დაკავშირებით, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

მისი თქმით, ეს საკითხი მუდმივად ხელისუფლების ყურადღების ცენტრში იქნება.



– იხილება სხვადასხვა ვარიანტები. მაგალითად, ზემო ლარსის გამტარუნარიანობის ზრდა, ასევე ალტერნატივად მიიჩნევა სამხრეთ ოსეთის ვარიანტი და საქართველოს მიერ ახალი გზების და ხიდების მშენებლობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პრობლემა განიხილება რუსეთს, საქართველოს და სომხეთს შორის, რადგანაც ტვირთბრუნვა ქვეყნებს შორის მუდმივად იზრდება, – განაცხადა კარენ კარაპეტიანმა.

ტრანსპორტის მინისტრ ვაან მარტიროსიანის თქმით, შესაძლო ალტერნატიულ ვარიანტებს შორის განიხილება არა მარტო სამხრეთ ოსეთზე გამავალი გზა, არამედ საჰაერო და სარკინიგზო გადაზიდვები.

– სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ჩვენ ვატარებთ ინტენსიურ მოლაპარაკებას რუსეთთან და საქართველოსთან, ჩვენ ვცდილობთ გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ მხარეები შეთანხმდნენ ამ საკითხზე, – განაცხადა მარტიროსიანმა.

მომართა თუ არა ქართულ მხარეს ერევანმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განიხილება თუ არა სომხეთიდან რუსეთში ტვირთების გადაზიდვის (და პირიქით) ალტერნატიულ გზად ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, უცნობია.



# რა არის ართრიტი



ეკა ირემაშვილი

ართრიტი გავრცელებული დაავადებაა, რომელიც შეიძლება იყოს მწვავე ან ქრონიკული. ჩნდება მწვავე ინფექციური ან ინფექციურ-ალერგიული დაავადებების გადატანის შემდეგ. დაზიანებული სახსრები სივდება, დეფორმირდება და ძალიან მტკივნეულია მოძრაობის დროს.

რა არის ართრიტი და როგორია პროფილაქტიკური ღონისძიებები დაავადების თავიდან ასარიდებლად, ამ თემებზე „ახალ თაობას" თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს რევმატოლოგი ნუნუ ტატიშვილი ესაუბრა:

**ნუნუ ტატიშვილი:**

– ართრიტი სხვადასხვაგვარი არსებობს. რევმატოიდული ართრიტი და რევმატიული ართრიტი სულ სხვა დაავადებაა – აუტოიმუნური დაავადება. მარტივად რომ ამბობენ, ართრიტი, ეს არ არის ერთი კონკრეტული დაავადება. სიტყვა „ართრიტი" არის სახსრის ანთება, მაგრამ ართრიტები სხვადასხვა გენეზისაა.

რევმატიული ართრიტი, რევმატოიდული ართრიტი და ინფექციური ართრიტი, დაკავშირებული სხვადასხვა ინფექციასთან, მაგალითად, ურო-გენიტალური ართრიტი, ინფექცია, რომელიც არის აღმავალი გზით გამოწვეული ურო-გენიტალური გზებით, უროლოგიური მამაკაცებში, გენიტალური ქალებში. ართრიტებს სხვადასხვა სახელები აქვთ. რეიტერის დაავადება, ტრიქომონოზული ართრიტი, ბრუცელოზური ართრიტი, დიზენტერიული ართრიტი.

მეორე საკითხია მადეფორმირებელი ოსტეოართროზი, რასაც ხალხში ეძახიან მარილების დაგროვებას. მეორე დეკადაში გადასულ ავადმყოფებს, ქალბატონებს მენოპაუზალურ პერიოდში 50 წლის შემდეგ აქვთ ეს დაავადება და უვითარდებათ სახსრის ტკივილი. აქაც გამოწვეულია ართრიტი, მაგრამ რითია გამოწვეული? ამას მეორადი სინოვიტი ჰქვია. იქ უკვე ხრტილის დეფიციტით არის გამოწვეული ანთება, ხრტილი იშლება, არავითარი მარილები არ გროვდება, ერთი ფუთი მარილი რომ ჭამონ, აბსოლუტურად არაფერი დაგროვდება.

***– ხშირად ადამიანებს წანაზარდები აქვთ...***

– ეს არის ხრტილოვანი წანაზარდი და არავითარი მარილები. ხრტილი განიცდის დეფიციტს, კარგავს თავის ხრტილოვან შენებას და ჩამოიფცქვნება, რასაც ჩვენ ოსტეოფიტს ვუწოდებთ, ხალხი კი – მარილებს.

***– რა რისკფაქტორები არსებობს?***

– რისკფაქტორებში ადამიანების ჩასმა ძალიან საყურადღებოა. არსებობს კიდევ აუტოიმუნური ძალიან სერიოზული დაავადებები, რევმატოიდული ართრიტი, რევმატიული ართრიტი, აუტოიმუნური დაავადებები, სისტემური წითელი მგლურა, სისტემური სკლეროდერმია, დერმატომიოზიტი, პოლიმიოზიტი და ამ დროს პირველი ჩვენება ზოგჯერ არის სახსრის ტკივილი. ეს დაავადებები უფრო ახალგაზრდა ასაკის დაავადებებია. თუკი პაციენტს სახსარი ასტკივდა, პრევენციისთვის აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თვითმკურნალობა! ეს არის საშინელება. ჩამონათვალი ართრიტებიდან ყველას სხვადასხვა თერაპიული კურსი აქვს და სხვადასხვა მკურნალობა სჭირდება. ეს მკურნალობები კი ინიშნება მხოლოდ და მხოლოდ ექიმის მიერ, როდესაც ავადმყოფის კლინიკური მდგომარეობა, ლაბორატორიული მონაცემები და ექიმის მიერ გასინჯული პაციენტის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან და სარწმუნო ხდება ეს დიაგნოზი, იწყება მკურნალობა. ამიტომ ერთი და იგივე პრეპარატი, ღმერთმა დაიფაროს, რომ ჩამონათვალ ართრიტებს კურნავდეს.

***– პირველი სიმპტომები რა არის?***

– სხვადასხვა ართრიტმა სხვადასხვა სიმპტომი შეიძლება გამოიწვიოს. აუტოიმუნურმა



დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს შემცივნება, სიცხე, უსიამოვნო შეგრძნება გულის არეში, ოფლიანობა და უცაბედად განვითარდეს სახსრის ტკივილი. ძალიან ხშირად დაავადება იწყება სახსრის ტკივილით. თუმცა მარტო სახსრის ტკივილი ჩამონათვალ ართრიტებში არ არსებობს, იქ კიდევ სხვა ზოგადი კლინიკური მდგომარეობაა საყურადღებო.

***– ახალგაზრდა ასაკში შეიძლება განვითარდეს ართრიტი?***

– რა თქმა უნდა. მენოპაუზალური პერიოდის შემდეგ განვითარებული ართრიტები არის დეფორმირებული ოსტეოართროზი, ოსტეოპოროზი, მაგრამ ახალგაზრდა ასაკში განვითარებული ართრიტები ყოველთვის უნდა იყოს დაფიქსირებული ექიმის მიერ, იმიტომ რომ ეს არის სიგნალი იმისა, რომ ხომ არ არის აქ რომელიმე აუტოიმუნური დაავადება. ახალგაზრდა ასაკში რომელიმე სახსრის ტკივილი ძალიან საყურადღებოა.

შეიძლება დაავადება განვითარდეს 18 წლის, 7 წლის ან 14 წლის ასაკში. ეს არის იუვენირული რევმატოიდული ართრიტი. ამ დროს ექიმის საქმეში ჩართვა და მკურნალობის დაწყება აუცილებელია. აუტოიმუნური დაავადებების მკურნალობა სულ სხვა სპექტრით მიდის – აქ უმთავრესია ჰორმონალური პრეპარატები, რომ სწრაფად მოხდეს დაავადების დათრგუნვა. თუკი ასეთი პაციენტი არ მივიდა ექიმამდე და დაიწყო თვითმკურნალობა, მდგომარეობა უფრო რთულდება, მარტო სახსარი კი აღარ სტკივათ, მთელი ორგანიზმი ერთვება, გულიც, თირკმელიც, ფილტვიც, სისხლძარღვებიც.

***– რა დატვირთვა აქვს ამ დაავადების დროს გენეტიკას?***

– არსებობს გენეტიური მარკერები. მაგალითად, არსებობს ფსორიოზული ართრიტი, რაც ძალიან ხშირად ითვლება გენეტიკურ ართრიტად, ოჯახში სანათესავო პირველ ჯგუფში ვილაცას აქვს, ან დედას, ან მამას. არის მეორე გენეტიკური დაავადება, რომელსაც პერიოდული დაავადება ჰქვია. პერიოდულ დაავადებას უფრო მეტად ვეძახით სომხურ დაავადებას, ხშირად ებრაელებშიც არის და ირანელ ხალხშიც. ესეც გენეტიკური დაავადებაა. აუცილებლად უნდა ვახსენოთ თანდაყოლილი დისპლაზიური დაავადებები, ორმხრივი მენჯ-ბარძაყის ამოვარდნილობა. ესეც გენეტიკაა. ყოველთვის კითხვა არის სანათესავო პირველ ჯგუფში – ან დედას, ან მამას, ან ძმას, ან დას – ვის ჰქონდა ასეთი თანდაყოლილი დისპლაზია. ასევე არის თანდაყოლილი აუტოიმუნური დაავადება, როცა შემაერთებელი ქსოვილების დეფიციტია. თუკი პატარა ბავშვი ძალიან ჰიპერმობილურია, მშობელს უხარია, რომ ის არაჩვეულებრივ ილეთებს აკეთებს, რაც სულაც არ არის სასიხარულო. ეს არის ჰიპერმობილობის სინდრომი, რომელიც ზრდასთან ერთად თავს იჩენს. თუ გოგონას აქვს ეს სინდრომი, უკვე საშიშია და მკურნალობა აუცილებელია, იმიტომ რომ გოგონაა, გათხოვდება, დადგება ორსულობა და ნაყოფს ვეღარ დაიჭერს.

ყველაზე დიდი შეცდომაა ის, რომ როცა დედამ იცის შვილის თანდაყოლილი დისპლაზიის შესახებ, ამას მალავს და გოგონას ფიზიოლოგიური მშობიარობის უფლებას აძლევს. აქ ხდება კატასტროფა – იწყება მეორადი დეფორმირებული ოსტეოართროზი, საშინელი ორმხრივი კოქსართროზი უკვე ქვეამოვარდნილობით. დღეს მოდაშია საკეისრო კვეთა და გოგონამ აუცილებლად საკეისრო უნდა გაიკეთოს.

დღეს ყველაფერი მოვლადია, მთავარია, პაციენტი მივიდეს ექიმამდე. წინათ აუტოიმუნური დაავადებები იკურნებოდა მხოლოდ ქიმიური პრეპარატებით. დღეს მოვიდა ერა ბიოლოგიური პრეპარატებისა. დღეს რევმატოიდულ ართრიტს ვმკურნალობთ ბიოლოგიური პრეპარატებით და არაჩვეულებრივი შედეგები გვაქვს. ოსტეოპოროზებიც კი ბიოლოგიური პრეპარატებით იკურნება.

***– რას ურჩევთ მკითხველს?***

– ჩემი მთავარი და ძირითადი გზავნილია, დროულად მივიდნენ ექიმთან. აქ საუბარია როგორც ახალგაზრდებზე, ასევე ასაკოვანებზე. 45 წლის შემდეგ ყველა ქალბატონი უნდა იყოს ექიმი-რევმატოლოგის ან თერაპევტის მიერ გასინჯული, ყველას უნდა ჰქონდეს აღებული სისხლი კალციუმზე და უნდა იყოს გაკეთებული კვლევა ოსტეოდენსიტომეტრიაზე, რომელიც გვაძლევს იმის უფლებას, რომ ვთქვათ, აქ არის დაწყებული ოსტეოპოროზი. მენოპაუზალურ თუ პრემენოპაუზალურ პერიოდში ძვალი კარგავს თავის მინერალურ საფარველს. ძვალი ფაქიზი ორგანოა, რომელიც გვემსახურება, მასზე ვართ აშენებული, მასზე ჩვენი კუნთები და სისხლძარღვებია დამაგრებული და ყველაზე გასაფრთხილებელია. მან არ უნდა დაკარგოს თავისი მინერალური საფარველი.

ექიმო, 87 წლის ვარ და რაღა მეშველებაო, მოდიან, არადა, მედიცინაში ასეთი მიდგომები არ არის – 87 წლისასაც შველა უნდა და 27 წლისასაც. ყველა ასაკს აქვს სამკურნალო გარკვეული ვადები და ამიტომ მთავარია, ყველა პაციენტი ექიმის მიერ იყოს შემოწმებული.

სამწუხაროდ, ექიმთან ხშირად დაგვიანებულები მოდიან, აუტოიმუნური დაავადებები კი ვერაგი დაავადებებია და ძალიან ხშირად ასეთი პაციენტები იღუპებიან კიდეც. ამასწინათ გავსინჯე 20 წლის გოგონა უმძიმესი სისტემური წითელი მგლურით. მიზეზი ის იყო, რომ უნდოდა გარუჯვა და სოლარიუმში დადიოდა. 10 პროცედურა ჰქონდა მიღებული. ამის გამო მიიღო შემაერთებელი ქსოვილის ძლიერი დამწვრობა. ალბათ, მისი იმუნიტეტი მებრძოლი არ იყო და მოხდა უმძიმესი დაავადების გენერალიზაცია. გარუჯვასაც აქვს თავისი ზომა-წონა.

ექიმის მუშაობა ავადმყოფთან ბრძოლის ველია. ყველა ექიმი ცდილობს, უშველოს ავადმყოფს. როცა ახალგაზრდა პაციენტი გყავს, მის მთელ ცხოვრებას გეგმავ, გინდა, რომ გამოიყვანო ამ მდგომარეობიდან. არ არის ეს ბრძოლის ველი? თუ გამოვიდა ამ მდგომარეობიდან, ხომ გამარჯვებული ხარ შენც და ისიც და, თუ ვერ გამოვიდა, ორივე წაგებული ხართ.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

**ქალბატონი ქეთათო**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# მომავალ უქმეებზე ინგლისი ისვენებს

ამ უქმეებზე ინგლისური ფეხბურთის მოყვარულები მოიწყენენ, თუმცა მთლიანად ფეხბურთის მოყვარულებს საამისოდ არ ეცლებათ.

დიდად გამორჩეული ტური არ არის, მაგრამ არის მატჩი, რომელსაც შეუძლია დიდი გავლენა შეიტანოს საფრანგეთის ჩემპიონატში. ბოლო წლების უცვლელი ჩემპიონი პსჟ შინ ლიდერ მონაკოს დაუხვდება.

## სტატისტიკა, ფსონები




### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.01 | ვილიარეალი-გრანადა | 1.36 | 5.0 | 9.5 |
| 28.01 | ალავესი-ატლეტიკო | 6.5 | 3.75 | 1.61 |
| 28.01 | ეიბარი-დეპორტივო | 2.2 | 3.25 | 3.6 |
| 28.01 | ლეგანესი-სელტა | 2.45 | 3.1 | 3.2 |
| 29.01 | ბეტისი-ბარსელონა | 13.0 | 6.0 | 1.25 |
| 29.01 | ესპანიოლი-სევილია | 3.4 | 3.4 | 2.2 |
| 29.01 | ბილბაო-ხიხონი | 1.36 | 5.0 | 9.0 |
| 29.01 | რეალი-სოსიედადი | 1.25 | 6.5 | 11.0 |
| 30.01 | ლას პალმასი-ვალენსია | 2.5 | 3.5 | 2.8 |

**ვილიარეალი-გრანადა**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-მატეო მუკაჩიო, დენის ჩერიშევი, რობერტო სოლდადო

გრანადა: ***ტრავმ***-მეტიუ სუნიე

**ალავესი-ატლეტიკო**

ალავესი: ***ტრავმ***-არავინ

ატლეტიკო: ***ტრავმ***-იან ობლაკი, აუგუსტო ფერნანდესი

**ეიბარი-დეპორტივო**

ეიბარი: ***ტრავმ***-ასიერ რიესგო, დავიდ იუნკა, ანაიც არბილია, კიკე, ივან რამისი

დეპორტივო: ***ტრავმ***-ბრუნო გამა, კარლეს ჟილი

**ლეგანესი-სელტა**

ლეგანესი: ***ტრავმ***-ომარ რამოსი, ალბერტო, ჯონ სერანტესი, რობერტ იბანესი, კონე

სელტა: ***ტრავმ***-არავინ

**ბეტისი-ბარსელონა**

ბეტისი: ***ტრავმ***-ხოაკინი, ანტონიო სანაბრია, ფელიპე გუტიერესი

ბარსელონა: ***ტრავმ***-რაფინია

**ესპანიოლი-სევილია**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ხავი ლოპესი, ლეო ბაპტისტაო

სევილია: ***ტრავმ***-ვიტოლო, დანიელ კარიკო, კარლოს ფერნანდესი, მაიკლ კრონ-დელი, ბენუა ტრემულანისი

**ბილბაო-ხიხონი**

ბილბაო: ***ტრავმ***-საბინი, კეპა არიზაბაგალა, ხავიერ ეჩეიტა

ხიხონი: ***ტრავმ***-დუგლას პერეირა, იორგ მერე

**რეალი-სოსიედადი**

რეალი: ***ტრავმ***-დანიელ კარვახალი, ხამეს როდრიგესი, პეპე, გარეთ ბეილი

სოსიედადი: ***ტრავმ***-მიკელ გონსალესი, ხოსება ზალდუა, კარლოს მარტინესი, მარკელ ბერგარა

**ლას პალმასი-ვალენსია**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-დავიდ გარსია, პედრო ბიგასი, დანიელ კასტელანო, ერნანი

ვალენსია: ***ტრავმ***-ანტონიო ლატო, მეტიუ რიანი, როდრიგო მორენო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 18 | 13 | 4 | 1 | 48-17 | 43 |
| 2.სევილია | 19 | 13 | 3 | 3 | 42-25 | 42 |
| 3.ბარსელონა | 19 | 12 | 5 | 2 | 51-17 | 41 |
| 4.ატლეტიკო | 19 | 10 | 5 | 4 | 34-16 | 35 |
| 5.სოსიედადი | 19 | 11 | 2 | 6 | 31-25 | 35 |
| 6.ვილიარეალი | 19 | 8 | 7 | 4 | 26-14 | 31 |
| 7.ბილბაო | 19 | 8 | 5 | 6 | 24-21 | 29 |
| 8.სელტა | 19 | 8 | 3 | 8 | 29-33 | 27 |
| 9.ესპანიოლი | 19 | 6 | 8 | 5 | 25-26 | 26 |
| 10.ეიბარი | 19 | 7 | 5 | 7 | 25-28 | 26 |
| 11.ლას პალმასი | 19 | 6 | 7 | 6 | 28-30 | 25 |
| 12.ალავესი | 19 | 5 | 8 | 6 | 17-20 | 23 |
| 13.ბეტისი | 19 | 6 | 4 | 9 | 20-30 | 22 |
| 14.მალაგა | 19 | 5 | 6 | 8 | 27-33 | 21 |
| 15.ვალენსია | 18 | 5 | 4 | 9 | 28-33 | 19 |
| 16.დეპორტივო | 19 | 4 | 7 | 8 | 24-29 | 19 |
| 17.ლეგანესი | 19 | 4 | 6 | 9 | 15-31 | 18 |
| 18.ხიხონი | 19 | 3 | 4 | 12 | 19-37 | 13 |
| 19.გრანადა | 19 | 1 | 7 | 11 | 16-42 | 10 |
| 20.ოსასუნა | 19 | 1 | 6 | 12 | 20-42 | 9 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.01 | ლაიპციგი-ჰოფენჰაიმი | 1.75 | 3.75 | 5.0 |
| 28.01 | დარმშტადი-კიოლნი | 3.6 | 3.25 | 2.2 |
| 28.01 | ინგოლშტადი-ჰამბურგი | 2.15 | 3.25 | 3.75 |
| 28.01 | ვოლფსბურგი-აუგსბურგი | 1.95 | 3.5 | 4.2 |
| 28.01 | ვერდერი-ბაიერნი | 15.0 | 6.5 | 1.22 |
| 28.01 | ლევერკუზენი-გლადბახი | 1.85 | 3.75 | 4.33 |
| 29.01 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2.5 | 3.3 | 2.9 |
| 29.01 | მაინცი-დორტმუნდი | 5.0 | 4.2 | 1.67 |

**ლაიპციგი-ჰოფენჰაიმი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-ლუკას კლოსტერმანი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ედუარდო ვარგასი, ბარის ატიკი, ლუკას რუპი, პაველ კადერაბეკი

**დარმშტადი-კიოლნი**

დარმშტადი: ***ტრავმ***-ვიქტორ ობინა, დენის ოლინიკი

კიოლნი: ***ტრავმ***-მარსელ რიისე, ტიმო ჰორნი

**ინგოლშტადი-ჰამბურგი**

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-მორის ჰარტმანი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-პიერ-მიშელ ლასოგა, აარონ ჰანტი, გიდეონ იუნგი, ალენ ჰალილოვიჩი, რენე ადლერი

**ვოლფსბურგი-აუგსბურგი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-მაქსიმილიან არნოლდი, მარცელ შაფერი, დანიელ დიდავი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ტიმ რიადერი, ალფრედ ფინბოგასონი, კაიბუ

**ვერდერი-ბაიერნი**

ვერდერი: ***ტრავმ***-იანეკ სტენბერგი, ტანოს პეტსოსი, ზლატკო იუნუზოვიჩი, იზეტ ჰაიროვიჩი, სამბუ იატარაბე

ბაიერნი: ***ტრავმ***-ტიაგო ალკანტარა, ჟერომ ბოატენგი

**ლევერკუზენი-გლადბახი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-კევინ ვოლანდი, ლარს ბენდერი

გლადბახი: ***ტრავმ***-ტობიას სტრობი, ნიკო ელვედი, ნიკო შულცი, იბრაჰიმა ტრაორე, პატრიკ ჰერმანი

**ფრაიბურგი-ჰერტა**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-გეორგ ნიდერმაიერი

ჰერტა: ***ტრავმ***-ალანი, სინან კურტი, სალომონ კალუ, მიჩელ ვეიზერი

**მაინცი-დორტმუნდი**

მაინცი: ***ტრავმ***-ლეონ ბალოგუნი, ქარიმ ონისივოუ, სუატ სერდარი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ემრე მორი, ადრიან რამოსი, სვენ ბენდერი, ნური შაჰინი, რომან ბურკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 17 | 13 | 3 | 1 | 40-10 | 42 |
| 2.ლაიპციგი | 17 | 12 | 3 | 2 | 34-15 | 39 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 17 | 7 | 10 | 0 | 30-17 | 31 |
| 4.დორტმუნდი | 17 | 8 | 6 | 3 | 37-20 | 30 |
| 5.ჰერტა | 17 | 9 | 3 | 5 | 25-19 | 30 |
| 6.აინტრახტი | 17 | 8 | 5 | 4 | 22-15 | 29 |
| 7.კიოლნი | 17 | 6 | 8 | 3 | 21-15 | 26 |
| 8.ლევერკუზენი | 17 | 7 | 3 | 7 | 26-25 | 24 |
| 9.ფრაიბურგი | 17 | 7 | 2 | 8 | 22-29 | 23 |
| 10.შალკე | 17 | 6 | 3 | 8 | 21-19 | 21 |
| 11.მაინცი | 17 | 6 | 3 | 8 | 26-30 | 21 |
| 12.ვოლფსბურგი | 17 | 5 | 4 | 8 | 16-24 | 19 |
| 13.აუგსბურგი | 17 | 4 | 6 | 7 | 13-19 | 18 |
| 14.გლადბახი | 17 | 4 | 5 | 8 | 15-25 | 17 |
| 15.ვერდერი | 17 | 4 | 4 | 9 | 21-36 | 16 |
| 16.ჰამბურგი | 17 | 3 | 4 | 10 | 14-32 | 13 |
| 17.ინგოლშტადტი | 17 | 3 | 3 | 11 | 14-28 | 12 |
| 18.დარმშტადტი | 17 | 2 | 3 | 12 | 11-30 | 9 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.01 | ლაციო-კიევო | 1.53 | 4.0 | 7.0 |
| 28.01 | ინტერი-პესკარა | 1.22 | 7.0 | 13.0 |
| 29.01 | ტორინო-ატალანტა | 2.4 | 3.3 | 3.1 |
| 29.01 | ფიორენტინა-ჯენოა | 1.61 | 4.2 | 5.5 |
| 29.01 | უდინეზე-მილანი | 3.1 | 3.3 | 2.4 |
| 29.01 | კალიარი-ბოლონია | 2.5 | 3.25 | 2.9 |
| 29.01 | კროტონე-ემპოლი | 2.5 | 3.1 | 3.1 |
| 29.01 | სასუოლო-იუვენტუსი | 7.0 | 4.33 | 1.5 |
| 29.01 | სამპდორია-რომა | 4.5 | 3.8 | 1.8 |
| 29.01 | ნაპოლი-პალერმო | 1.14 | 9.0 | 19.0 |

**ლაციო-კიევო**

ლაციო: ***ტრავმ***-დუშან ბასტა, კეიტა

კიევო: ***ტრავმ***-ნიკოლას ფრეი, ნიკოლა რიგონი

**ინტერი-პესკარა**

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

პესკარა: ***ტრავმ***-დავიდე ვიტურინი, ფრანჩესკო ძამპანო, გასტონ ბრუგმანი, უგო კამპანარო, ნოიბერტ გიომბერი, სიმონე პეპე

**ტორინო-ატალანტა**

ტორინო: ***ტრავმ***-ლეანდრო გასტანი, კრისტიან მოლინარო

ატალანტა: ***ტრავმ***-აბდულაიე კონკო, კარლოს კარმონა, ბაქარი დრამე

**ფიორენტინა-ჯენოა**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

ჯენოა: ***ტრავმ***-სერჟ გაკპე, მიგელ ველოსო, მატია პერინი

**უდინეზე-მილანი**

უდინეზე: ***ტრავმ***-სილვან ვიდმერი, მოლა ვოგი, ემანუელ ბადუ

მილანი: ***ტრავმ***-მატია დე შილიო, მატიას ფერნანდესი, რიკარდო მონტოლივო

**კალიარი-ბოლონია**

კალიარი: ***ტრავმ***-დავიდე დე ჯენარო, სიმონე პადოინი, ფედერიკო მელხიორი, არტურ იონიტა

ბოლონია: ***ტრავმ***-ვასილის ტოროსიდისი, დანიელე კასტადელო, საფირ ტაიდერი, სადიქ უმარი, სიმონე ვერდი

**კროტონე-ემპოლი**

კროტონე: ***ტრავმ***-ჯამელ მესბა, ალექსანდარ ტონევი

ემპოლი: ***ტრავმ***-უროს კოსიჩი, ფედერიკო ბარბა, მარკო ძამბელი

**სასუოლო-იუვენტუსი**

სასუოლო: ***ტრავმ***-სიმონე მისიროლი, ფრანჩესკო მანანელი, მარსელო გაზოლა, დავიდე ბიონდინი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მარიო ლემინა, მეჰდი ბენატია, დანი ალვეში

**სამპდორია-რომა**

სამპდორია: ***ტრავმ***-ედგარ ბარეტო, ჯაკოპო სალა, ემილიანო ვივიანი

რომა: ***ტრავმ***-მოჰამედ სალაჰი, ალესანდრო ფლორენცი

**ნაპოლი-პალერმო**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ომარ ელ კადური, ვლად კირიკეში, კალიდუ კულიბალი, არკადიუშ მილიკი

პალერმო: ***ტრავმ***-როლანდ სალაი, სლობოდან რაიკოვიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 20 | 16 | 0 | 4 | 42-16 | 48 |
| 2.რომა | 21 | 15 | 2 | 4 | 42-18 | 47 |
| 3.ნაპოლი | 21 | 13 | 5 | 3 | 47-24 | 44 |
| 4.ლაციო | 21 | 12 | 4 | 5 | 35-24 | 40 |
| 5.ინტერი | 21 | 12 | 3 | 6 | 34-23 | 39 |
| 6.ატალანტა | 21 | 12 | 2 | 7 | 33-24 | 38 |
| 7.მილანი | 20 | 11 | 4 | 5 | 31-24 | 37 |
| 8.ფიორენტინა | 20 | 9 | 6 | 5 | 33-25 | 33 |
| 9.ტორინო | 21 | 8 | 6 | 7 | 38-31 | 30 |
| 10.ბოლონია | 20 | 7 | 5 | 8 | 20-25 | 26 |
| 11.კალიარი | 21 | 8 | 2 | 11 | 31-45 | 26 |
| 12.უდინეზე | 21 | 7 | 4 | 10 | 25-28 | 25 |
| 13.კიევო | 21 | 7 | 4 | 10 | 21-30 | 25 |
| 14.სასუოლო | 21 | 7 | 3 | 11 | 31-35 | 24 |
| 15.ჯენოა | 21 | 6 | 6 | 9 | 24-29 | 24 |
| 16.სამპდორია | 21 | 6 | 6 | 9 | 22-27 | 24 |
| 17.ემპოლი | 21 | 5 | 6 | 10 | 12-26 | 21 |
| 18.კროტონე | 20 | 2 | 4 | 14 | 16-36 | 10 |
| 19.პალერმო | 21 | 2 | 4 | 15 | 17-41 | 10 |
| 20.პესკარა | 20 | 1 | 6 | 13 | 16-39 | 9 |

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.01 | ლიონი-ლილი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 28.01 | ლორიანი-დიჟონი | 1.95 | 3.6 | 3.75 |
| 28.01 | რენი-ნანტი | 2.1 | 3.2 | 3.75 |
| 28.01 | ნანსი-ბორდო | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 28.01 | ბასტია-კაენი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 28.01 | ანჟე-მეცი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 29.01 | ნიცა-გენგამი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 29.01 | ტულუზა-სტ.ეტიენი | 2.3 | 3.0 | 3.4 |
| 29.01 | პსჟ-მონაკო | 1.67 | 4.0 | 4.75 |

**ლიონი-ლილი**

ლიონი: ***ტრავმ***-მუხტარ დიაკაბი, კორენტინ ტოლისო, ნიკოლას ნკულუ, რაშიდ გეზალი, რაფაელი

ლილი: ***ტრავმ***-ნაიმ სლიტი, მუნირ ობადი, სტოპირა სუნზუ, რიო მავუბა, რაიან მენდესი

**ლორიანი-დიჟონი**

ლორიანი: ***ტრავმ***-რომან ფილიპოტო, ბენჯამინ მუკანჯო

დიჟონი: ***ტრავმ***-ფუად ჩაფიკი, მეჰდი აბეიდი, სედრიკ ვორო, მარვინ მარტინი

**რენი-ნანტი**

რენი: ***ტრავმ***-ბენჯამინ ანდრე, ჯოვანი სიო, კამილ გროსიცკი, კერმიტ ერასმუსი, სილვიან არნო, კლემენტ ჩანტომე

ნანტი: ***ტრავმ***-რემი რიო

**ნანსი-ბორდო**

ნანსი: ***ტრავმ***-არავინ

ბორდო: ***ტრავმ***-ჯერემი მენეზი, ადამ ოუნასი, მაქსიმ პუნდიე, სედრიკ კარასკო, ტომას ტურე

**ბასტია-კაენი**

ბასტია: ***ტრავმ***-აბდელ ელ კაუტარი

კაენი: ***ტრავმ***-რემი ვორკუტი, ემანუელ იმოროუ

**ანჟე-მეცი**

ანჟე: ***ტრავმ***-ჩეიკ ნდოიე, კარლ ეკამბი, ბილი კეტკეპომპონე

მეცი: ***ტრავმ***-ჩეიკ დაკური, მილან ბიშევაჩი, მევლუტ ერდინჩი

**ნიცა-გენგამი**

ნიცა: ***ტრავმ***-რიკარდო პერეირა, იოან კარდინალე, იუნის ბელანდა, ჟან სერი, ვალენტინ იესერიჩი, ვალტერ ბენიტესი

გენგამი: ***ტრავმ***-ჯონათან პერეირა

**ტულუზა-სტ.ეტიენი**

ტულუზა: ***ტრავმ***-ალექსის ბლინი, ფრანსუა მუბანჯე, ისა დიპოი, ოსკარ ტრეიხო, ჟან-დანიელ აკპა აკპრო

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ალექსანდერ სოდერლუნდი, ოსამა ტანანე, რობერტ ბერიჩი, ჩეიკ მბენგუე

**პსჟ-მონაკო**

პსჟ: ***ტრავმ***-ხესე, ლავინ კურზავა, ალფონს არეოლა, გრჟეგოჟ კრიხოვიაკი, სერჟ ორიე, ხავიერ პასტორე

მონაკო: ***ტრავმ***-ნაბილ დირარი, ანდრეა რაგი, ბენჯამინ მენდი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 21 | 15 | 3 | 3 | 64-21 | 48 |
| 2.ნიცა | 21 | 13 | 7 | 1 | 35-14 | 46 |
| 3.პსჟ | 21 | 14 | 3 | 4 | 41-15 | 45 |
| 4.ლიონი | 20 | 12 | 1 | 7 | 39-23 | 37 |
| 5.გენგამი | 21 | 8 | 7 | 6 | 27-23 | 31 |
| 6.სტ.ეტიენი | 21 | 7 | 9 | 5 | 21-18 | 30 |
| 7.მარსელი | 21 | 8 | 6 | 7 | 24-26 | 30 |
| 8.რენი | 21 | 8 | 5 | 8 | 21-25 | 29 |
| 9.ბორდო | 21 | 7 | 8 | 6 | 22-27 | 29 |
| 10.ტულუზა | 21 | 7 | 5 | 9 | 22-23 | 26 |
| 11.ნანტი | 21 | 7 | 4 | 10 | 14-28 | 25 |
| 12.ნანსი | 20 | 6 | 6 | 8 | 16-23 | 24 |
| 13.მონპელიე | 21 | 5 | 8 | 8 | 29-34 | 23 |
| 14.ლილი | 21 | 6 | 5 | 10 | 19-26 | 23 |
| 15.დიჟონი | 21 | 4 | 9 | 8 | 27-30 | 21 |
| 16.ბასტია | 21 | 5 | 6 | 10 | 18-25 | 21 |
| 17.კაენი | 20 | 6 | 3 | 11 | 23-35 | 21 |
| 18.მეცი | 20 | 6 | 5 | 9 | 20-36 | 21 |
| 19.ანჟე | 21 | 5 | 5 | 11 | 17-27 | 20 |
| 20.ლორიანი | 21 | 5 | 3 | 13 | 23-43 | 18 |

# ჰეი, მუჩაჩო, 90-ე წუთია!




სათაურში მოყვანილ სიტყვებს ხშირად გაიგონებთ სანტიაგო ბერნაბეუზე. ალბათ ხვდებით, ვისაც შეუძახებენ ასე. დიახ, ეს სერხიო რამოსია, ლეგენდა, კაპიტანი, გმირი და „არანორმალური კაცი".

**2012 წელია,** მადრიდის რეალი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მიუნხენის ბაიერნს ხვდება, ორი მატჩი ჯამში 3:3 დასრულდა, ბოლოს საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, სამეფო კლუბმა თავიდან 2 პენალტი გააფუჭა და 2-2 დარტყმის შემდეგ ანგარიში 0:2 იყო. შემდეგ ბაიერნმაც გააფუჭა ზედიზედ 2 თერთმეტმეტრიანი, ხოლო როდესაც ანგარიში 1:2 იყო, ბურთთან სერხიო რამოსი მივიდა, შეეძლო გაეთანაბრებინა ანგარიში და ყველაფერი თავიდან დაწყებულიყო, თუმცა პენალტი საშინლად დაარტყა და რეალი ფინალს მიღმა დარჩა.

გამოასწორა თუ არა რამოსმა ყოველივე ეს?

**2014 წლის,** 29 აპრილი. ისევ რეალი-ბაიერნი. პირველი შეხვედრა რეალმა 1:0 მოიგო და საპასუხო მატჩში ალიანც არენას ესტუმრა, სადაც ყველა ელოდა უდიდეს ბრძოლას, მაგრამ... სერხიო რამოსმა შური იძია, 20 წუთში დუბლი შეუსრულა რეკორდმაისტერს და უდიდესი წვლილი შეიტანა ფინალში გასვლაზე.

ფინალი. 24 მაისი, 2014 წელი. რეალი-ატლეტიკო. „როხიბლანკო" 92:48 წუთამდე წინ იყო, მაგრამ დაინიშნა კუთხური, მოდრიჩის ჩაწოდება და სერხიო რამოსის თავური, ანგარიში ხდება 1:1, დამატებით დროში სამეფო კლუბმა 4:1 მოიგო.

შემდეგი გმირობა სერხიომ მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატზე ჩაიდინა, მაროკოში რამოსმა 2 შეხვედრაში 2 გოლი გაიტანა, მან ფინალშიც შეძლო თავის გამოჩენა, ტურნირი რეალმა მოიგო, საუკეთესო ფეხბურთელი კი სერხიო რამოსი გახდა!

რამოსის შემდეგი მსხვერპლი კვლავ ატლეტიკოა და კვლავ ჩემპიონთა ლიგის ფინალში. 2016 წელს მე-15 წუთზე, კაპიტანმა ბეილის თავური გადაცემის შემდეგ, არეულობაში, დასწრებაზე მშვენივრად ითამაშა და ანგარიში გახსნა. საბოლოოდ, რეალმა შეხვედრა პენალტების სერიაში მოიგო.

ესპანელი გახდა პირველი მცველი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის 2 ფინალში გაიტანა!

**2016 წლის,** 9 აგვისტო. მადრიდის რეალი და სევილია ერთმანეთს, ევროპის სუპერთასის ფინალში ეთამაშებოდნენ. მადრიდელები 1:2 მარცხდებოდნენ 92:32 წუთამდე, მაგრამ აქ იყო სერხიო რამოსი, რომელმაც ანგარიში გაათანაბრა და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა. საბოლოოდ რეალმა 3:2 მოიგო და სერხიო რამოსმა კიდევ ერთხელ, სრულიად დამსახურებულად, აწია თასი!

**2016 წლის,** 3 დეკემბერი. ელ კლასიკო. ბარსელონა „კამპ ნოუზე" 1:0 უგებდა რეალს, მაგრამ კიდევ ერთი გმირობა ჩაიდინა 89:48 წუთზე რეალის კაპიტანმა, რომელმაც მოდრიჩის ჩაწოდების შემდეგ გუნდი მარცხისგან იხსნა.

შემდეგი იყო დეპორტივოსთან შეხვედრა, სადაც 92-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 2:2 იყო, ხოლო რეალს ძალიან სჭირდებოდა 3 ქულა, რამოსმა ტონი კროოსის ჩაწოდების შემდეგ, თავური დარტყმით ანგარიში 3:2 გახადა და სამეფო კლუბს მოაგებინა!

ახლა რამოსის მეტსახელი ბოლო წუთის კაცია. ამიტომაც ხშირად ისმის ბერნაბეუზე – ჰეი, მუჩაჩო, 90-ე წუთია.


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# აშშ-ისა და მექსიკის პრეზიდენტების შეხვედრა გადაიდო

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ინიციატივამ მექსიკასთან კედლის აშენების შესახებ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. თავად ტრამპმა განაცხადა, რომ საამისოდ 8 მილიარდია საჭირო, ამერიკელი ექსპერტების აზრით კი კედლის ასაშენებლად მინიმუმ 25 მილიარდი დოლარია აუცილებელი.

— ისმის კითხვა, ამ თანხას ვინ გადაიხდის? – ამბობს სენატორი დემოკრატი შუმერი.

მექსიკის პრეზიდენტმა ნიეტომ აღნიშნა, რომ კედლის აშენება აბსოლუტურად გაუმართლებელია და მისი ქვეყანა საამისოდ ერთ კაპიკსაც არ გადაიხდის. ამან ტრამპი განარისხა:

— თუკი მექსიკის პრეზიდენტი პოზიციას არ შეიცვლის, ვეჭვობ, რომ ვაშინგტონში მისი ვიზიტი შედგეს, — განაცხადა ტრამპმა.

მექსიკის პრეზიდენტმა ვაშინგტონში ვიზიტი გადადო.

— ჩვენ ამის თაობაზე უკვე ჩავაყენეთ თეთრი სახლი საქმის კურსში, — თქვა ნიეტომ.





# კონგრესი გამოძიებას შეუდგა

აშშ-ის კონგრესი რუსი ჰაკერების აშშ-ის არჩევნებში ჩარევის საქმის გამოძიებას შეუდგა. შესწავლილი იქნება 35-გვერდიანი დოსიე, სადაც საუბარია ტრამპის შტაბის წარმომადგენლების კონტაქტებზე რუსებთან.

— ეს სრული ცილისწამებაა! ჩემს ხალხს რუსებთან არავითარი კონტაქტი არა ჰქონია, — აცხადებს ტრამპი.

სადღეისოდ ტრამპის საქმიანობას ამერიკელთა 50% იწონებს, 40% წინააღმდეგ არის განწყობილი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# გერმანელ მონადირეს შეყვარებულები ტახში აერია

გერმანიაში დაიწყო სასამართლო პროცესი მონადირეზე, რომელმაც შეცდომით შეყვარებულ წყვილს ესროლა. ინციდენტი 2015 წლის სექტემბერში მოხდა. გერმანულ ქალაქ ნაუენის მცხოვრებმა და მისმა პოლონელმა მეგობარმა გოგონამ სიმინდის მინდვრის სიახლოვეს პლედი დააფინეს და ერთმანეთს ჩაეხუტნენ. მონადირეს, რომელიც საფარში იჯდა, ხმაური შემოესმა. მან იფიქრა, რომ სიმინდის ყანაში ტახი იყო შესული და ესროლა. ტყვია მამაკაცს მოხვდა, გაუარა ღვიძლში და მისი მეგობარი გოგონას ხელში გაიჭედა. მამაკაცი დაახლოებით ათ წუთში გარდაიცვალა. გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს. მონადირე ამტკიცებს, რომ ის ტახს უმიზნებდა, რომელიც დაშავებულებისგან 20 მეტრში იდგა და არ ესმის, რა მოხდა. იურისტები, რომლებიც დაღუპულის ოჯახის ინტერესებს იცავენ, ფიქრობენ, რომ შემთხვევის ადგილზე ტახი არ ყოფილა.

# ავსტრალიელი მყვინთავი ზვიგენს დაუმეგობრდა



მყვინთავი ავსტრალიის ქალაქ პორტ-მაკუორიდან დაუმეგობრდა ზვიგენს, რომელიც მას უფლებას აძლევს, მოეხვიოს და ჩაეხუტოს. რიკ ანდერსონი, რომელსაც წყალქვეშ ყვინთვის საკუთარი სკოლა აქვს, პირველად ზვიგენს შვიდი წლის წინ მოეხვია, რათა თავისი მოსწავლეებისთვის ეჩვენებინა, რომ ცხოველებიც შეიძლება იყვნენ კეთილგანწყობილნი. მისი თქმით, მას შემდეგ მათმა ურთიერთობამ მიაღწია იმ დონეს, როდესაც ზვიგენი თავად მიცურავს მყვინთავთან, რათა ის მას მოეხვიოს. ანდერსონი აფრთხილებს, რომ, მიუხედავად ზვიგენის კეთილგანწყობისა, სიფრთხილის დაცვა აუცილებელია.

— ისინი გარეული ცხოველები არიან და თავად გაგრძნობინებენ, როდის არ სურთ, მათ შეეხონ, — განაცხადა ანდერსონმა.



# გია როინიშვილი ქეთი დოლიძეზე: „ნაძირალაა!“

მსახიობი გია როინიშვილი რეჟისორ ქეთი დოლიძის კრიტიკას აგრძელებს და პირველად საჯაროდ აცხადებს, რომ კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ნაძირალაა და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია.

**გია როინიშვილი:**

— ვუსმინე ქეთი დოლიძის ინტერვიუს „იბერიაზე“ – ხმამაღლა ვაცხადებ პირველად, სახალხოდ – ნაძირალაა! რის სასამართლო?! რის სამართალი?! ცალ ფეხზე ჰკიდია... ეს დედაკაცი მორალიდან და ზნეობრიობიდან გასულია ძალიან შორს!!! ეს ის შემთხვევაა, როცა ყველანაირი ცივილურობა აზრს კარგავს! სამწუხაროა... ეს პროფესიონალი თვალთმაქცი და მოღალატე „ღალატზე“ ლაპარაკობს!

რატომ ღმერთი არ გაიცინებს?! ალბათ ერთ-ერთი ბოლო ვარ, ვინც ამას ამბობს! სამწუხაროა.

# ბექა გოჩიაშვილი თბილისში დაუკრავს

ამერიკაში მოღვაწე ქართველი ჯაზმენი ბექა გოჩიაშვილი თბილისში კონცერტს გამართავს.

მუსიკოსი, რომელიც მსოფლიოში აღიარებულ ჯაზმენებთან თანამშრომლობს და ერთობლივ კონცერტებშიც იღებს მონაწილეობას, თბილისელი მსმენელისთვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში დაუკრავს.

თბილისურ საღამოს მუსიკოსმა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჯაზსტანდარტის სახელწოდება შეურჩია, რომელიც პიანისტმა თელონიუს მონკმა შექმნა და მას შემდეგ დიდი პოპულარობით სარგებლობს ჯაზმუსიკოსებს შორის. ბექა გოჩიაშვილის კონცერტზე დასასწრები ბილეთები ელვის სისწრაფით გაიყიდა, რამაც მუსიკოსის გაკვირვებაც კი გამოიწვია. უბილეთოდ დარჩენილი მსმენელები კი დამატებითი კონცერტის დანიშვნას მოითხოვენ. ბექა გოჩიაშვილი თავის ჯაზმენობას მამას „აბრალებს“. სულ პატარა ასაკიდან ის ჯაზს ისმენდა და სწორედ ამან განაპირობა ამ მუსიკისადმი მისი განსაკუთრებული სიყვარული. ამჟამად ქართველი მუსიკოსი „გრემის“ მფლობელი მუსიკოსის, სტენლი კლარკის კვარტეტში უკრავს.

# სიღნაღის თეატრს შენობის დაცლას სთხოვენ



სიღნაღის თეატრს შენობის დაცლას სთხოვენ. ამის მიზეზი იმ შენობის გასხვისებაა, რომელშიც თეატრი უკვე 10 წელია მოღვაწეობს და საერთაშორისო ასპარეზზე დიდ წარმატებებსაც აღწევს.

თეატრის დასის ხელმძღვანელის თქმით, შენობის გასხვისების შესახებ ისინი არავის გაუფრთხილებია, ამიტომ შენობის დაცლის ინფორმაციაც მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

როგორც ცნობილი ხდება, შენობა კინოგაერთიანება „რუსთაველს“ ეკუთვნოდა და 50.000 დოლარად გაყიდა. შენობის ამჟამინდელი მფლობელი შპს „ალფაა“, რომელიც დაკავებული სივრცის დაცლას ითხოვს.

რა განთავსდება შენობაში და სად მოუწევს წასვლა სიღნაღის თეატრს, ჯერჯერობით უცნობია.

# ნინო სურგულაძე ემიგრანტებს ამხნევებს



მსოფლიოში აღიარებული ქართველი საოპერო მომღერალი ნინო სურგულაძე ემიგრანტებს ამხნევებს და წარმატების მისაღწევად ყველანაირი გამოცდების გაძლებას და დაბრკოლებების გამკლავებას ურჩევს.

ნინო სურგულაძე:

— არ შემიძლია არ დავწერო და არა დასაცავად, არამედ აზრის დასაფიქსირებლად.

ყველა ის, ვინც საზღვარგარეთ ცხოვრობს, სწავლობს და მუშაობს, დამეთანხმება, რომ არ არის იქ იოლი თავის დამკვიდრება. მარტოობა უკვე ძნელია და მუდმივად გენატრება სახლი, მაგრამ ასეა საჭირო.

ჯარისკაცივით ხარ და ყოველდღე უნდა დაამტკიცო, რომ მეტი შეგიძლია, ვიდრე სხვას, ვის ადგილსაც იკავებ და უკან დგას უამრავი ადამიანი, რომელიც ამ ადგილისთვის იბრძვის. მე 21-ის ვიყავი და მახსოვს, როგორ განვიცდიდი, რომ ნულიდან უნდა დამეწყო ყველაფერი. ერთადერთი, რაც მამშვიდებდა, ეს იყო დედაჩემთან საუბარი. ამ ყველაფერს იმიტომ ვწერ, რომ გავამხნევო ყველა ის ახალგაზრდა, ვინც მიდის საზღვარგარეთ სასწავლებლად და დასახვეწად.

არ შეგეშინდეთ წინააღმდეგობების, ისინი ყოველთვის იქნება, აკეთეთ თქვენი საქმე და აკეთეთ კარგად. ყველაფერი იქნება მაგრად... და ოდესმე, როდესაც მოვა დრო, ადრე თუ გვიან, დაბრუნდებით, იმედია და თქვენს ცოდნას და გამოცდილებას თქვენს ქვეყანას მოახმართ.

ჩვენ კი, ქართველებმა, უნდა გაგამხნევოთ და მეტი ძალა და ენერგია მოგცეთ იმიტომ, რომ უბრალოდ ცოტანი ვართ და მიმობნეულები მთელს დუნიაზე. მეტი სიყვარული და პოზიტივი და ერთმანეთის გატანა გვქონოდეს.

# ნინო ანანიაშვილი „მაკნატუნაში“ იცეკვებს

თბილისის საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი ცნობილ ბალეტში „მაკნატუნა“ იცეკვებს.

ბალეტის მოყვარულებისთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბალეტი „მაკნატუნა“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 29 იანვარს იქნება წარმოდგენილი. ნინო ანანიაშვილს პარტნიორობას იგორ არტამონოვი გაუწევს. ამის შემდეგ, მოცეკვავეები გასტროლისთვის დაიწყებენ მზადებას. იაპონელი მაყურებლის წინაშე საბალეტო დასი გაზაფხულზე წარდგება. რიგით მოცეკვავეებთან ერთად იაპონელების წინაშე ნინო ანანიაშვილიც წარდგება.

# ფრანგი ფოტოგრაფი სვანური სოფლის შველას ითხოვს



ფრანგი ფოტოგრაფი სვანური სოფლის შველას ითხოვს და სპეციალურ ვიდეომიმართვას ავრცელებს, სადაც სვანეთის ერთ-ერთი სოფლის ადიშის შესახებ საუბრობს და მას კულტურის ნიმუშს უწოდებს.

— რატომ არ უკეთებენ ამ სახლებს რეაბილიტაციას, ჩემთვის აუხსნელი და დაუჯერებელია. შეხედეთ, რა სილამაზეა. ეს პეიზაჟი სიზმარივითაა, გამოსაფხიზლებლად ხელზეც კი ვიჩქმიტე. რას აკეთებს კულტურის სამინისტრო, ან ის უწყებები რას ფიქრობენ, ვისაც ამ საკითხის გადაწყვეტა ევალება, – კითხულობს გაოცებული ფოტოხელოვანი და ქართველ საზოგადოებას მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს.

ფრანგი ფოტოგრაფის მიმართვას კინორეჟისორი ლევან თუთბერიძე ეხმაურება:

— კულტურა და ტურიზმი არის ერთ-ერთი პრიორიტეტი ამ ქვეყნის...

მიხედეთ და ამოიღეთ მუთაქებიდან ეს ფულები... სირცხვილია... სისულელეში იხარჯება თანხები... პროფესიონალებს მოუსმინეთ უცხოსაც და პირველ რიგში, საკუთარს, თუ გიყვართ სამშობლო... ქვეყანას მარტო თურქული ორცხობილა და ჩინური სათამაშოები ვერ უშველის...

# არიადნა შენგელაია 80 წლისაა



საქართველოს სახალხო არტისტი არიადნა შენგელაია 80 წლისაა. ელდარ შენგელაიას ყოფილი მეუღლე, რომელიც მაყურებელმა რეჟისორის ფილმიდან „შერეკილები“ მარგარიტას როლის შესრულებით გაიცნო, მთელი ცხოვრება ხელოვნებას ემსახურება.

იუბილარ მსახიობს რუსეთის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. არის საკავშირო კინოფესტივალის ლაურეატი. არიადნა შენგელაიამ პირველი პრემია მიიღო კიევის საკავშირო კინოფესტივალზე ტატიანა ლარინას როლის შესრულებისთვის ფილმში „ევგენი ონეგინი“.

არიადნა შენგელაია გრიბოედოვის თეატრის მსახიობი იყო, მას მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე ფილმში. გასული წლის 60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კინოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი იყო. მონაწილეობა აქვს მიღებული 50-მდე ფილმში.

იგი წლების მანძილზე მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. მსახიობის კინოდებიუტი შედგა ფილმში „ეკატერინა ვორონინა“, სადაც შეასრულა ირინას როლი. სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა რეჟისორებთან ივანე პირიევთან, გიორგი დანელიასთან, ნადეჟდა კოშევეროვასთან, ფელიქს მირონერთან, ისიდორე ანენსკისთან, აბრამ როომთან, ნაუმ ტრახტენბერგთან, ელდარ შენგელაიასთან.

კინოში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია „შერეკილები“, „ევგენი ონეგინი“, „მთვარის მოტაცება“, „თეთრი ქარავანი“, „ძოწის სამაჯური“. თეატრალური როლებიდან კი მნიშვნელოვანია კლეოპატრას როლი ბერნარდ შოუს პიესაში „კეისარი და კლეოპატრა“ და ანა ფრანკის როლი სპექტაკლში „ანა ფრანკის დღიური“.

არიადნა შენგელაიამ და ელდარ შენგელაიამ ერთად 23 წელი იცხოვრეს. სწორედ ქართველმა რეჟისორმა მისცა მას საკუთარი გვარი. იუბილარი მსახიობის ნამდვილი გვარი შპრინკია.

# სახარების ხელახალმა აღწერამ მნიშვნელოვანი სიახლეები გამოავლინა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაცული ერთ-ერთი სახარების ახალ აღწერილობაზე მუშაობისას დადგინდა, რომ ხელნაწერი, ძირითადად, პალიმფსესტური ფურცლებისაგან შედგება, რომელთაგან უძველესი IX-X საუკუნეებს განეკუთვნება.

სახარება სამეცნიერო საზოგადოების განსაკუთრებული შესწავლის საგანი აქამდე არასდროს გამხდარა. ხელნაწერი ეროვნულ არქივში 1924 წელს თორტიზის მონასტრიდან არის შემოტანილი, შესრულებულია ეტრატზე და საუცხოო მინიატურებით გამოირჩევა. ახლის შექმნამდე არსებულ აღწერილობებში ის მე-14 საუკუნის სახარებად არის მოხსენიებული.

ხელნაწერის პალიმფსესტური ფურცლები არის როგორც ორფენიანი, ისე სამფენიანი, ზედა ორი ფენა ნაწერია ნუსხურით, ხოლო ქვედა, მესამე ფენა ასომთავრულით. ზედა ორივე ტექსტი გიორგი მთაწმინდელის სახარებაა, ხოლო ქვედა მესამე ფენის იდენტიფიკაცია ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ხელნაწერი მრავლად შეიცავს სხვადასხვა პერიოდის ანდერძ-მინაწერებს, რომელთა ნაწილი ნაწერია ნუსხურით, ხოლო ნაწილი მხედრულით.

ანდერძ-მინაწერების მიხედვით, ხელნაწერის ერთი ფენის გადამწერი ვინმე გიორგია, მომგებელი – ბერი ესტატე. სახარების ერთ-ერთი გვერდის არშიაზე დაახლოებით XVI-XVII საუკუნეების ხელით მითითებულია, რომ ხელნაწერი მის მფლობელს თორმეტ მარჩილად შეუძენია.

სახარება შეიცავს IX-X, XII-XIII, XIV, XVI-XVII საუკუნეებში გადაწერილ ასომთავრულით, ნუსხურითა და მხედრულით შესრულებულ ფურცლებს, დაახლოებით XIV საუკუნეში მოხატულ მინიატურებსა და თავსამკაულებს.

ხელნაწერი ამჟამად ნომინირებულია იუნესკოს მსოფლიო მეხსიერების საერთაშორისო რეესტრში შესატანად.

ხელნაწერთა ახალი აღწერილობების პროექტი ეროვნულ არქივში 3 წლის წინ დაიწყო და მისი მიზანია, განაახლოს ინფორმაცია, რომელიც ეროვნულ არქივში დაცული 1000-მდე ხელნაწერს შეეხება. პროექტის ფარგლებში გასულ წელს 100 ხელნაწერის აღწერილობა გამოიცა. ამჟამად მუშაობა აღწერილობების მეორე ტომზე მიმდინარეობს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# TV პროგრამა

## ორშაბათი 30 იანვარი

07.00 დოკ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 08.00 ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 08.30 დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "კედრის ყურე" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "გურმანია" 14.30 "სიტყვების თამაში" 15.00, 02.10 გადაცემა "X სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "შურისძიება" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად. 23.00 ტ/სერ "მთავრობა" 00.00 მხ/ფ "ექსპრესი" 03.10 "რეალური სივრცე"

08.00 დ/ფ "ოქროს ხანა კინო-მუსიკაში" 08.50 დ/ფ "სუფრაჟისტები" 09.40 მხ/ფ "ამალია ერჰარტი" 12.00 ტ/სერ. "ევას სამი ვარდი" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00, 01.00 ტ/სერ. "ბორგბო ლარინის საიდუმლოებანი" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "ელიფი" 5-6 სერ. 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "პატარძალი" 11.20 სერ. "გოგული" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ფიცი" 17.35, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 20.55 სერ. "შავი ვარდი" 22.30 მხ/ფ "ვიცი" რომ დაბრუნდები" 00.30 მხ/ფ "გამდიდრდი ან მოკვდი" 02.45 მხ/ფ "სკეპტიკოსი" 04.10 მხ/ფ "გაქცევა ციხიდან"

06.00 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 06.45, 20.10 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 15.55 სერ. "ინდური საგა" 16.55 სერ. "ცხოვრების გზები" 18.50, 20.03 სერ. "ოქროს გალია" 22.00 ნიჭიერი - პირდაპირი (ფინალი) 00.00 სერ. "დროში დაკარგული"

08.00 ან/სერ. "ფანტორი და ჩამ-ჩამი" 09.00, 19.00 სერ. "დოქტორი ჰაუსი" 11.00 სერ. "მშობლები" 13.00 სერ. "ჩიკაგოს მეხანძრეები" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 18.00 სერ. "სკანდალი" 21.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 22.00 სერ. "მოტივი" 23.00 სერ. "როგორავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის" 00.00 მხ/ფ "სექსი დიდ ქალაქში 1" 02.25 მხ/ფ "სექსი დიდ ქალაქში 2"

